ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №50 (1680) 28 ივლისი – 3 აგვისტო, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

## რას მოგვიტანს მთავრობის შეცვლა?



მეორე გვერდი



### ვუფრთხილდეთ ჯერ საკუთარ ხელისუფლებას და მერე რუსეთს

მეორე გვერდი

### კომენტარი პრეზიდენტის ორშაბათის რადიო-ინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

### ვინ ვის უნდა შეურიგდეს?...




მეხუთე გვერდი

### რატომ აირჩია ხალხმა უღირსი მთავრობა

მე-11 გვერდი



მესამე გვერდი

### პოლონელი მოგზაურისა და ისტორიკოსის იან პოტოცკის ცნობები საქართველოზე

### სიმართლის თქმა მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევა არ არის

მე-8 გვერდი

### მაინც საიდან მიიღო სახელწოდება აფხაზეთმა



მე-7 გვერდი

# რას მოგვიტანს მთავრობის შეცვლა?

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა მრავალმნიშვნელოვანი მიმართვით, ალბათ, ოპოზიციისადმი, დაასრულა თავისი მოხსენება და ნიშნისმოგებით გვითხრა, რომ არავითარი სახელისუფლო კრიზისი არ არის და ტყუილი იმედი ნუ გაქვთ, მთავრობას არაფერი ემუქრება.

თვით მთავრობის სხდომის მიმდინარეობამ და შემდგომმა მოვლენებმა აშკარად გვიჩვენა, რომ პრეზიდენტი ცდებოდა და სახელისუფლო კრიზისი სახეზე იყო. ნიკო ლეკიშვილის გადადგომამ, როგორც მასმედია იტყებინება, ავტომატურად გამოიწვია მთავრობის სრული შემადგენლობისა და მასთან ერთად ქალაქებისა და რაიონების გამგებლების გადადგომაც. ხელისუფლებაში კრიზისი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ასეთი რამ არ მოხდებოდა. ნიკო ლეკიშვილმა, ასე ვთქვათ, დემოკრატიული ჟესტი გააკეთა და საკუთარი განცხადებით დაემშვიდობა სახელმწიფო მინისტრის პოსტს. თუმცა, საინტერესოა ერთი გარემოება: ბატონმა ნიკომ მართლაც საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა თუ პრეზიდენტმა უკარნახა მას ამის საჭიროება?

ასეა თუ ისე, მთავრობა, როგორც ამბობენ, აღარ გვყავს, თუმცა, როცა გვყავდა, არც მაშინ ვგრძნობდით მაინდამაინც, რომ ქვეყანას მთავრობა ყავდა და სახელმწიფოსაც მართავდა. კაცმა რომ თქვას, სახელისუფლო კრიზისის შემდგომ მივიღებთ სახელისუფლო ვაკუუმს და ლოგიკური იქნება, იმასაც თუ ვიტყვით, რომ ამ ვაკუუმის პერიოდში გაჩაღდება „ხელჩართული" ბრძოლა მინისტრებისა თუ გამგებლებ-მერების პორტფელებისათვის. ჩვენი აზრით, ამ ბრძოლის წინა ხაზზე, ანუ ავანგარდში, ალბათ, მოქკავშირი იქნება და თუ მთავრობის სხდომაზე ყვანიას გამოსვლის ქვეტექსტებსაც გავაანალიზებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ან თითქმის ყველა პორტფელის „დათრევას"



სწორედ მოქკავშირი შეეცდება.

რას მოგვიტანს ჩვენ, რიგით მოკვდავებს მთავრობის შეცვლა? აი, კითხვა, რომელიც ყველა ჭკუათმყოფელს აწუხებს დღეს. ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, ამომწურავ პასუხს ამჟამად, ვერავინ გასცემს, მაგრამ წინასწარი პროგნოზი, საზოგადოების გარკვეულ წრეებში რომ გაკეთდა, ასეთია: ეს იქნება კოსმეტიკური ცვლილება, ანუ კიდევ ერთი სატყუარა ხალხისათვის და არსებითად არაფერი შეიცვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ საშინაო პოლიტიკური კურსი ისევ ისე დარჩება და ერთი მინისტრისა თუ გამგებლის მეორე, ახალი მინისტრითა და გამგებლით შეცვლა ბევრს არაფერს მოიტანს.

მოქკავშირს და მის ლიდერებს დიდი იმედი აქვთ ახალი, სავარაუდოდ, ისევ თავიანთი გუნდიდან, კადრებისა და ამ იმედს საჯაროდაც აცხადებენ. იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, მაგრამ გვეჩვენება, რომ ეს ილუზორული იმედია, რადგან მინისტრებისა თუ გამგებლების უმრავლესობა დღემდე სწორედ მათი გუნდიდან იყო და თუ როგორ დაეტყო მათი მოღვაწეობა ქვეყნის ამა თუ იმ დარგს, დღეს სახეზეა. საფიქრებელია, რომ მოქკავშირი ყველა საკვანძო თანამდებობის ხელში ჩაგდების მცდელობით არჩევნებისათვის იმზადებს ნიადაგს და არჩევნებიც კარზეა მომდგარი, — სულ რაღაც წელიწადნახევარში უნდა ჩატარდეს.

ისე, თუ ჩვენ გვკითხავს ვინმე, სადაც სამართალია, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად საკანონმდებლოც რომ შეცვლილიყო და ხელახალი, ვადამდელი, მაგრამ სამართლიანად და ობიექტურად ჩატარებული არჩევნების გზით გადახალისებულიყო პარლამენტი, ვფიქრობთ, ეს უფრო წაადგებოდა საქმეს, რადგან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობამდე საკანონმდებლო ხელისუფლებამაც მიიყვანა.

რაც შეეხება ქვეყნის პრეზიდენტს, იგი, ასე ვთქვათ, ხელშეუხებელი პერსონაა და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლებათა კრიზისი მის პოსტზე არავითარ გავლენას არ მოახდენს. ადრეც ვვარაუდობდით და ახლაც შეიძლება გავიმეოროთ იგივე: შესაძლოა, პრეზიდენტმა ზურგი აქციოს საკუთარ პარტიას (ისევე, როგორც აქცია ზურგი აღმასრულებელი ხელისუფლების ბევრ, მის ერთგულ მაღალჩინოსანს და ქვეყნის კრიზისული მდგომარეობაც სწორედ მათ დაბრალდა), ანუ მოქკავშირს და დაეყრდნოს სხვა, არანაკლებ ძლიერ პარტიებს (მათი დასახელებისგან, ჯერჯერობით, თავს ვიკავებ) და ეს შეიძლება არჩევნებამდე მოხდეს, თუმცა, მისი პარტია, ანუ მოქკავშირი, სავარაუდოდ, ფარ-ხმალს არ დაყრის და თავის მხრივ, შეეცდება აქტიურად გაიბრძოლოს საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნებისათვის და კვლავ სავარაუდოდ, იმ დონეზეც კი, რომ პარტიის ახალი ლიდერის ძებნაზეც დაიწყოს ფიქრი. ყოველ შემთხვევაში, მომავალი გვიჩვენებს, გამართლდება თუ არა ჩვენი ეს ვარაუდები, მანამდე კი დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**სერგო ჟანაშია.**

**P.S. როგორც გუშინ შევიტყვეთ, ცხრა მინისტრმა უკვე დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ. გაიჟღერა მომავალი პრემიერ-მინისტრისა თუ სახელმწიფო მინისტრის გვარმაც ეს, სავარაუდოდ, გახლავთ ვაჟა ლორთქიფანიძე, ამჟამად საქართველოს ელჩი რუსეთში. დანარჩენი კანდიდატების ვინაობას, ალბათ, მალე შევიტყობთ.**

## ახალი პოლიტიკური ლექსიკონი
### (ილია ბარამიძის რედაქციით)

**აპლოდისმენტი** — რა ორატორის სიფათს ვერ მისწვდე და საკუთარ ხელისგულებზე იყარო ჯავრი.

**ბანკი** — მავანს ქუჟყიან ხელებს რომ ბან. ბან კი?

**განდონი** — (შემოკლ.) ზოგი პოლიტიკოსის განათლების დონე.

**გუბერნატორი** — თანამდებობა, რომელზეც განვითარებადი კორუფციის ქვეყნებში ირჩევენ, განვითარებული კორუფციის ქვეყნებში — ნიშნავენ.

**დარვინი** — ინგლისელი ბუნებისმეტყველი, რომლის მოძღვრებითაც ქართველი კომუნისტი გაადამიანდება.

**ექსპერიმენტი** — ჩატარება ცდებისა ბოცვერთა გინა ქართველთა ზედა.

**ვანდალიზმი** — აქა დამშევა მკვიდრთა სოფლისათა დანგრევად სოფლისა.

**ზოოპარკი** — მხეცთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა პოლიტიკური თავშესაფარი.

**თოფაკი** — ხეზე შემჯდარი ყვავი, მელიები რომ ეხვეწებიან, გვიმღერე რამეო (კრილ).

**იდიოტიზმი** — აფხაზეთის ძალის გამოუყენებლად დაბრუნების რწმენა.

**კაზინო** — მავანთათვის დამშეული ხალხის სიბრალულით შემოყრილი დარდის განსაქარვებელი ადგილი.

**ლეიბორისტი** — აქა მწვანე ხის მოწითალო ნაყოფი.

**მეტამორფოზა** — მეტამორფით გარდაქმნა ქცევისა.

**ნეტო** — მავანი პოლიტიკოსის ბრუტოში დებული სისულელე.

**ოაზისი** — აგარაკნი კომუნისტთა საბჭოთა უდაბნოსა შინა.

**პედერასტი** — პოლიტიკოსი, რომელიც თავის კუჭსა და უკანალზე ხალხის უწინარეს ფიროზს.

**ჟონგლიორი** — (ცირკ) ხალხის ბედით მოთამაშე პოლიტიკოსი.

**რევანში** — ქართველთა ჩასახლება ერევანში.

**სატრაპი** — სპარსთა სამეფოში პროვინციის (სატრაპიის) მმართველი, მეფისნაცვალი, ჩვენში რწმუნებული ანუ გუბერნატორი.

**ტალანტი** — ძვ. ბერძენთათვის — ოქროს ფული, სიმდიდრის წყარო, ქართველთათვის — ლოდი უსარგებლო, სიღარიბის მიზეზი.

**უმადური** — კაცი, რომელსაც სიკეთის დანახვის მადა არა აქვს.

**ფული** — იხ. ხელისუფალთა ჯიბეში.

**ქვეგუდანი** — იხ. პარლამენტში.

**ღირსების ორდენი** — სხივი არს მზისა, რომელი ვარდთა და ნეხვთა სწორად მოეფინების.

**ძამა** — (ინგლ დძამა) — მინისტრთა შორის მიმართვის ფორმაა.

**ციგანი** — ბოშა. გადატანითი მნიშვნელობით — უპრინციპო პოლიტიკოსი.

**წყალი** — რასაც მავან პოლიტიკოსს უკან მეწყერთან ერთად უსურვებენ.

**ჭრუ** — (აბრევიატურაა) იშიფრება: ყვირილი როცა უსარგებლოა. ხელისუფლებაზე იტყვიან.

**ხართი** — მეორადი გადამუშავებისათვის თურქეთში გასატანი პოლიტიკოსი.

**ჩინგაჩუკი** — (ინდ.) დიდი გველი. არძინბაზე იტყვიან.

**ჭური** — ზემდგომნი რომ ქვემდგომთა შიგ ყოფნას ნატრობენ, ის არის.

**ხმა** — ერთგვარი მისაცემჩასაკმედი. არჩევნებისას — მიეცი, არჩევნებს მერე — ჩაიკმიდე.

**შარი** — მოსადებია ერთგვარი სიმართლის მთქმელთათვის.

**ჰა-ჰა-ჰა!** — პარლამენტის რეაქცია ამომრჩევლის თხოვნაზე.

**ჰო-ჰო-ჰო!** — ამ ლექსიკონის შემდგენელის თავხედობაზე იტყვიან.

# ვუფრთხილდეთ ჯერ საკუთარ ხელისუფლებას და მერე რუსეთს

აფხაზეთი, ქართველი ერის სასიცოცხლო სივრცის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის ულამაზესი კუთხე დღევანდელი ხელისუფლების კაპიტულანტური და უუნარო პოლიტიკის წყალობით უფრო და უფრო შორდება საქართველოს. ამ კატეგორიული შეფასების საფუძველს მაძლევს ხელისუფლების მიერ წარმოებული აფხაზეთის მთელი კამპანიის ანალიზი, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.



ამ წერილში ჩემი მიზანია შევეხო აფხაზეთისათვის ქართველი ერის სამამულო ომში ხელისუფლების არა მარტო სამარცხვინო როლს, რომელსაც მოჰყვა ათასობით ქართველის მასობრივი ჟლეტვა, აფხაზეთიდან გამოდევნა და საბოლოო ჯამში აფხაზეთის დეფაქტო დაკარგვა, არამედ ამჟამინდელი მდგომარეობის მიმოხილვაც და შესაძლებლობის ფარგლებში იმ გზების ძიება, რომელიც რაღაც ოპტიმალურ გამოსავალს დაგვანახვებს. თუმცა კი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი ხელისუფლებისათვის რაიმე ახალი პოლიტიკური გზის ჩვენება ყოველგვარ აზრს არის მოკლებული, რადგან იგი საქართველოს ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს მხოლოდ რუსეთის დახმარებაში ხედავს და ფანატიკურად მისდევს ამ ერთხელ არჩეულ გეზს. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას აფხაზეთთან დამოკიდებულებაში სუბიექტივიზმის ისეთი აშკარა ნიშანი ადევს, რომ ადვილად იმსახურებს მის კრიტიკოსთაგან ყველაზე მძაფრ უარყოფით შეფასებებს, როგორიცაა „მოღალატური", „გამყიდველური", „უცხო ქვეყნის ინტერესების დამცველი", „ძირგამომთხრელი" და სხვა. ეს არც არის გასაკვირი. ხელისუფლება, რომელიც არ ითვალისწინებს ერის ისტორიულ პოლიტიკურ გამოცდილებას, მის ფსიქოლოგიურ წყობას, მიზანსწრაფვას და მასზე დაყრდნობილ სულში გამომუშავებულ ეროვნული თავისუფლების დოქტრინას, ხელისუფლება, რომელიც რუსეთთან ინტეგრაციის აუცილებლობის იდეა-ფიქსს დაუბრმავებია, თუ რა თქმა უნდა, უფრო მძიმე გარემოებასთან არ გვაქვს საქმე, და ამ იდეა-ფიქსის განხორციელების სამსახურში მყოფი არავის და არაფერს ერიდება, არც ხალხის ნებას, რომელიც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერაში გამოიხატა და არა ახალ რუსულ იმპერიულ ჩანასახში „ესენგეში" თავის შეყოფის სურვილში, ხელისუფლება, რომელიც აღნიშნული იდეის აღსრულებისათვის უაზროდ წარმოებული ომის გზით დაუნდობელ მტერს ფიზიკურად ანადგურებინებს საკუთარ ხალხს, ამაზე მეტყველებს ცხინვალის, გაგრის, სოხუმის, გალის საკუთარი ჯარის განიარაღების გზით მტრისთვის თითქმის უბრძოლველად ჩაბარება, ასევე სახელმწიფოებრივ რანგში მაფიოზური სტრუქტურების ჩამოყალიბების გზით ეკონომიკურად წელში ტეხავს ქვეყანას და მასობრივი ძარცვა-გლეჯვით საკუთარი ხალხის შიმშილის ზღვარზე დაყენებით ქმნის ერის ნების დათრგუნვისათვის ხელშემწყობ სიტუაციას (გავიხსენოთ „ესენგეში" შესვლის პირობად სახელმწიფოს მეთაურმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში შესაფერისი სიტუაციის აუცილებლობა აღნიშნა) ხელისუფლება, რომელიც ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ასრულებს თავის სახელმწიფოებრივ ფუნქციას და უცხო ქვეყნის მარიონეტად ყალიბდება, ამავე დროს მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები მომავალ თაობასაც თავისუ-



ფლებისათვის ბრძოლას უფრო ურთულებს და ხელ-ფეხს უკრავს, ძველი ადათ-წესები რომ არსებობდეს, საყოველთაო შერისხვისა და განკვეთის ღირსია.

მაგრამ მთავარი კითხვა მაინც ის არის, თუ რა ვილონოთ და რით შევიმსუბუქოთ თავზე დატეხილი ჭირვარამი. აქსიომაა, რომ გამოსავალს პოულობს ის, ვინც შეუპოვრად ეძებს მას. ე.ი. მის ძიებაში ათასნაირ გეგმას ადგენს და ათასნაირ საშუალებას იყენებს. სწორხაზოვანი მიმართულებით კი არ

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყნეთის აგარაკებს ჩალის ფასად იპრივატებენ

25 ივნისს საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება: „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საგარეუბნო აგარაკების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზაციის შესახებ". როგორც შევიტყვეთ, ამ ეტაპზე ბინების პირად საკუთრებაში გადაცემა შეწყვეტილია, მაგრამ უკვე პრივატიზებულ ბინათა ფასები თქვენთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, მითუმეტეს ამ თანხით ალბათ თბილისის ყველაზე არაპრესტიჟულ უბნებშიც კი ერთოთახიან ბინასაც ვერ იყიდით.

1. დაბა წყნეთის „დ" ზონის გურამიშვილის ქუჩა №87-1-ში მდებარე ბინის გასაყიდი ფასი 10035 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

ობიექტის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების უფლება მიეცეთ ბატონ ჯემალ ჭუმბურიძეს.



2. დაბა წყნეთის „ბ" ზონის №23 კორპუსის მე-3 ბინის გასაყიდი ფასი 3000 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

ობიექტის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების უფლება მიეცეს ბატონ თეიმურაზ კოპალეიშვილს.

3. დაბა წყნეთის „ბ" ზონის №23 კორპუსის მე-4 ბინის შესასყიდი ფასი 3000 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

ობიექტის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების უფლება მიეცეს ბატონ მიხეილ ჯიბუტს.

4. დაბა წყნეთის „ა" ზონის №13 კორპუსის მე-3 ბინის გასაყიდი ფასი 3500 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

ობიექტის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების უფლება მიეცეს ბატონ გოგი ხარაბაძეს.

5. დაბა წყნეთის „ა" ზონის №7 აგარაკის გასაყიდი ფასი 5500 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

ობიექტის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების უფლება მიეცეს ბატონ თეიმურაზ ანდრიაძეს.

6. დაბა წყნეთის „ბ" ზონის №25 აგარაკის გასაყიდი ფასი 5500 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

ობიექტის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების უფლება მიეცეს ბატონ თეიმურაზ მამაცაშვილს.

როგორც ბრძანებაშია აღნიშნული, დაევალა ყველა აღნიშნული ობიექტის მყიდველს ამ ბრძანების მიღებიდან არაუმეტეს 30 დღისა შესაბამისი ობიექტების გასაყიდი ფასის სრულად დაფარვა, მაგრამ სამწუხაროდ, ქონების მართვის სამინისტროში კომპეტენტური პირებიდან ვერავინ გაგვცა პასუხი, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. დაწვრილებით ინფორმაციას კი მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

**კობა გურული.**

# ვახოიე არ ვიყო, ესესესერშიც თუ არ შეგათრიოთ...

## გვჭირდება კი სნგ?

(ფიქრები ხმამაღლა)

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მინდა ციტატა მოვიტანო ესენგეს „გარიყრაუზე" გაზეთ „ქართულ ქრონიკაში" გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან:

„ესენგე (სნგ) თავისი სახელითაც მომწონს, თუმცა ზოგიერთმა ქართველმა ჟურნალისტმა თუ პოლიტიკოსმა სცადა მისთვის ქართული აბრევიატურის (დსთ-დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) დამკვიდრება, რაც უფრო მტკივნეულია, ვიდრე ესენგეში შესვლა. ესენგე ქართულად არ ითარგმნება, ისევე, როგორც იუგოსლავია, რადგან მასში ცოტა რამაა ქართული.

ჩვენ სნგ-ს წევრი ვართ და არა დსთ-სი.

ასე აჯობებს, რადგან საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სნგ-დან გავალთ, დსთ-დან — ვერა".

კი ვთქვი, მაგრამ რად გინდა. ჩვენს ჟურნალისტებსა თუ პოლიტიკოსებს მაჯაგანით ვერ გამოჰგლეჯთ წინა ზედა კბილებზე ენის წვერით საცოდავად მიჭყლეტილ, გალათინურების გამო ძნელად წარმოსათქმელ დესეთეს, ანუ, როგორც ზოგი ამბობს, დუსუთუს.

თქვე დალოცვილებო, თუ რუსულ ესენგეში (სნგ) ქართული სულის შთაბერვა გინდათ, ქართულად მაინც წარმოთქვით — დონსანთანი (დსთ). რას უწუნებთ, ინდოსტანივით არ ჟღერს?

ერთადერთი პოლიტიკოსი, ვინც ჩემი შეგონება „ყურად იღო", საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძეა (ღმერთმა ოჯახი, ერი და მამული უბედნიეროს). ესენგეს შექმნის დღიდან მის ბაგეთაგან არათუ ქართულ-ლათინური დეს'ეთე, ქართული დონსანთანიც არ მსმენია. სულ ესენგეო, გაიძახის. თქვენ გგონიათ, შემთხვევით ან ქართულის არცოდნით?

სხვები კი — დესეთე და დესეთეო!

როგორ, საქართველოს პრეზიდენტზე უკეთ იცის ვინმემ, სად შეათრიეს საქართველო, დონსანთანში თუ ესენგეში?

არასდროს დამავიწყდება პრეზიდენტის განცხადება ესენგეში შესვლასთან დაკავშირებით. ტელეობიექტივის წინ დგას ჭაღარა, წლებითა და ბრძოლებით დაღლილი, განადგურებული ჯარის მთავარსარდალი და აცხადებს, ჩვენ დაგვაჩოქეს და ისე შეგვათრიეს ესენგეშიო.

ამას მოყვა არნახული, პროპაგანდისტული კამპანია ესენგეს ღვთითნაკურთხობის შესახებ, მტკიცება იმისა, რომ დამოუკიდებელი თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც არაა და თურმე დიდ ილიასაც, ღმერთო მომიტევე, მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობა კი არა, მხოლოდ ავტონომია ჰქონდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და ამით თავიანთი ეშმაკეული გზა ილიასეულად გაასალეს. მერე პარლამენტის სხდომაზეც დაისვა ესენგეში შესვლის საკითხი, კენჭიც ეყარა და ... რუსეთის აგენტურა გაიშიფრა.

ღმერთო, რა ღრიანცელით ულოცავდნენ ერთმანეთს ხალხის „რჩეულნი" საქართველოს რუსეთთან შეერთებას (მაშინ ასე ეგონათ). ამ დროს ერთი კაცი იჯდა პრეზიდიუმში შედარებით მშვიდად, გულისჯიბეში გადანახულ კომპარტიის წევრობის ბილეთს ფარულად ხელს ავლებდა და ტუჩების ცმაცუნით ბუტბუტებდა, ვახოიე არ ვიყო, ესესესერშიც (ქართულადსსრკ-სანსანსანკანი) თუ არ შეგათრიოთო.

მე ვინ მკითხავს და, ამ ჩვენმა უშიშროების სამინისტრომ, მაშინდელ ტელეგადაცემათა ჩანაწერები და პრესის მასალები რომ გაანალიზოს, რუსეთის აგენტურის დიდი ნაწილი ხელთ ეყოლება. მისთვის ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის დაზვერვა ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს მასმედიის ანალიზით მოიპოვებს ხოლმე.

უმორჩილესად „ვთხოვეთ" ესენგეს „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს", თქვენს ძმურ კავშირში მიგვიღეთო (გაიხსენეთ 1921 წლის „თხოვნა"). რუსეთი „ჩაფიქრდა" ფრიად. მერე, ღირსნი არა ხართ, მაგრამ ძმებს ხომ ვერ გაგწირავთო, წყალობა ჰყო, თანხმობა განაცხადა და ცხრა ქვეყანას უბრძანა, ჩემი მათრახის გემო თუ არ დაგვიწყიათ, სასწრაფოდ მიიღეთ და მიულოცეთო.

მხოლოდ ბელორუსია, მის დღეში სახელმწიფოებრიობა კი არა, სამთავრო და სათავადოც რომ არ ჰქონია, გაიპრანჭა (ასე იყო სცენარით) და განაცხადა, მე, გენაცვალე, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვარ, რუსეთი ვინ მიგდია, მეგობარ სახელმწიფოებს ასე ხელაღებით კი არ ვიძენთ, და თანხმობა გააჭიანურა. მოგვიანებით, რუსმა ბატონმა ანიშნა, შე ღვთის გლახავ, მეტისმეტი არ მოგივიდეს და საქართველო არ დამაკარგვინოო და მანაც მოწყალება გაიღო.

ბოლოს, როგორც იქნა, „გავბედნიერდით", ყოველის მხრით თანხმობა მივიღეთ და განახლდა მილოცვათა ღრიანცელი.

ვიცი, ვინმე არ დამეთანხმება, მაგრამ ამ დროს, მგონი, ჩვენი პრეზიდენტი უყურებდა მედროვე ხელქვეითთა ამ ტაშფანდურას და ფიქრობდა: „ვაი, თქვენს პატრონს, თქვე უბედურებო, რას აგიტყდათ ეს როკვა-სიმღერა? თქვენ ხვალ-ზეგ შეეცდებით მეც გამომჭრათ ყელი (ასეც მოხდა-ი.ბ.). ჩემს დამარცხებას ზეიმობთ?"

პრეზიდენტების ფიქრს ვინ გაიგონებს, მაგრამ ასე რომ ფიქრობდა, თუნდაც იქედან ჩანს, რომ იმ „მოტანცავეთაგან" უმეტესობა მოიშორა, ბევრსაც კიდევ მოიშორებს.

პოლიტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთის პოლიტიკის, განსაკუთრებით სპეცსამსახურების სამზარეულოში შემიხედია, რაც მაფიქრებინებს, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელშიც ჩვენთან ერთად რუსეთიც იქნება, მათ შორის ევროსაბჭოსა და ევროკავშირში, ჩვენი ინტერესები გარკვეულწილად შეზღუდული იქნება, არაფერს ვამბობ გაეროს უშიშროების საბჭოზე, სადაც რუსეთს ვეტოს უფლება აქვს.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, საქართველოს ესენგეში შესვლა გარდაუვალი და, იქნება, რაიმეთი სასარგებლოც იყო.

ესენგე რუსეთისთვის პირში ჩაჩრილი მატყუარა საწოვარაა, ძუძუს მოწყვეტილ ჩვილს რომ ჩასჩრიან ხოლმე, არ გაავდესო. აგერ ექვსი წელია, ამ საწოვარათი ვატყუებთ რუსეთს, მაგრამ დროა, დაყვავებით, მშვიდად ვუთხრათ ამ ჭირვეულ ბავშვს: „შენ უკვე დემოკრატიის გზაზე მდგარი დიდი სახელმწიფო (ბიჭი) ხარ. ეს საწოვარა ფუა, გადააგდე, თორემ სხვა სახელმწიფოები (ბიჭები) დაგცინებენო. იქნებ შერცხვეს და თავი დაგვანებოს.

ქართველმა კაცმა მეგობრობის ფასი იცის. მისთვის მეგობარი მეტს ნიშნავს, ვიდრე „სობუტილნიკია", მაგრამ ამ უცნაურ „თანამეგობრობაში" ყოფნამ საქართველოს წინაშე მდგარი ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაწყვიტა, თუმცა ზიანიც არ მოუტანია.

მეგობრობა, რომლის მთავარი მახასიათებელიც მხოლოდ ის არის, რომ მას ზიანი არ მოაქვს მხარეებისათვის, მეგობრობა არ არის და ჩასაშლელადაა განწირული.

სჯობს, არ გყავდეს მეგობარი, ვიდრე გყავდეს, იმედი გქონდეს და გაჭირვების ჟამს გიგანოს.

ესენგეს გზა ტაძართან ვერ მიგვიყვანს. იგი პანტელეიმონის გზაა.

**ილია ბარამიძე**

# ვინ „აცხობს" ან თარგმნის ასეთ ჩიქორთულ კანონებს?

## რეპლიკა

მისასალმებელია, რომ ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს კანონთშემოქმედება, მაგრამ ზოგჯერ გაოცებული რჩებირატომ აწერინებენ ხელს ბ-ნ პრეზიდენტს სამართლებრივად და ტერმინოლოგიურად გაუმართავ კანონებზე.

ალბათ ამის გამოა, რომ ზოგიერთი მათგანი მალე ხდება შესაცვლელი.

ამჯერად მხედველობაში გვაქვს 11 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ტყეთსარგებლობის მოწესრიგების შესახებ".

ამ კანონის მე-3 მუხლის მეორე პარაგრაფით იკრძალება მთავარი სარგებლობის ჭრები.

კანონის შემდგენელმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ მთავარი სარგებლობის ჭრების გარეშე სატყეო მეურნეობის სისტემა მკვდარი და გაუმართლებელია. ჭრების აკრძალვა კი არაა საქმე, არამედ მისი მოწესრიგება.

საინტერესოა, რომ ეს მუხლი წინააღმდეგობაშია მე-4 მუხლის მეორე პარაგრაფის „გ" პუნქტთან, რომლითაც დაშვებულია ლიცენზიის გაცემა საკასრე მერქანზე.

საქმე ისაა, რომ საკასრედ საჭიროა სწორედ უმაღლესი ხარისხის მერქანი, ისიც ძირითადად მუხისა, რომელიც უნდა მოიჭრას მთავარი სარგებლობის ე.წ. ძიებითი ჭრებით.



რაკი მთავარი სარგებლობის ჭრები იკრძალება, თავისთავად ცხადია, რომ საკასრე მერქანზეც არ უნდა გაიცეს ლიცენზია.

ამასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საკასრედ ძირითადად მუხის მერქანი იხმარება, ხოლო საქართველოს მუხნარებში კი ყოველგვარი ჭრები ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდანაა აკრძალული, მაშინ ცხადი გახდება, თუ საერთოდ, როგორი პარადოქსული და უხერხული სიტუაცია იქმნება ამ კანონით.

ახლა ტერმინოლოგიის შესახებ. უეჭველია, ეს კანონი რომელიღაც შესაბამისი უცხოური კანონის უხეირო თარგმანია, რასაც მისი ტერმინოლოგიაც ადასტურებს.

პირველ მუხლში ნახმარია ტერმინები: „სასაქონლო პოზიცია" და „სასაქონლო სუბპოზიცია".

პირველის ნაცვლად უნდა იყოს „სასაქონლო მდგომარეობა", ხოლო „სუბპოზიცია" კი ნიშნავს „ქვეპოზიციას" და აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ახალი ტერმინის შექმნა. მასთან ტერმინი „ქვესუბპოზიცია" თავისი შინაარსით უაზრობაა.

მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „გ" პუნქტში ნახმარია ისეთი ტერმინები, რომელნიც მერქანთმცოდნეობაში საერთოდ არ გვხვდება და შინაარსობრივადაც გაუგებარია.

ასეთებია: — „დაპობილი ბალანსები", ასეთი ტერმინი, არც მეტი, არც ნაკლები-ენის დანაგვიანებაა.

„სიგრძივად გაუხერხავი სარები".-სარი საერთოდ ვაზის ან ლობიოს ჭიგოს სინონიმია და მის დახერხვაზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

„ახდილი მერქანი" — ეს რომელიღაც უცხოური ტერმინის უხეირო თარგმანია და მერქანთმცოდნეობაში მსგავსი რამ არ მოიპოვება.

საერთოდ, ტყეში აწარმოებენ ყავრის გახდას და არა ახდას, თუკი ამას გულისხმობს კანონი.

კანონი თავისი შინაარსითა და ტერმინოლოგიით ხელს უნდა უწყობდეს ენის გამდიდრებას და არა პირიქით.

ასეთი ბუნდოვანი ტერმინოლოგიით შედგენილ კანონებზე ნამდვილად არ უნდა აწერინებდნენ ხელს ბ-ნ პრეზიდენტს.

**ზვიად ძართველიშვილი.**

# კომენტარი პრეზიდენტის 20 ივლისის რადიოინტერვიუზე

### პრეზიდენტი კვალს რევს ეკონომიკის დარგში

წინა ინტერვიუთაგან განსხვავებით, რომლებშიც პრეზიდენტი ან სიხარულით გვაწვდიდა არცთუ სასიხარულო ეკონომიკურ ფაქტებს (ქარხნის გადასვლას უცხოელთა ხელში და ა.შ.), ან სიამაყით გვაწვდიდა არცთუ საამაყო ფაქტებს (მაგალითად, გვატყობინებდა, ეკონომიკურად დაქცეულ ქვეყანაში, სადაც სროლა ხუთი წლის წინ შეწყდა, წარმოება კუს ნაბიჯით, მაგრამ აქა-იქ მაინც იზრდებაო), ამჯერად მას, როგორც ჩანს,. მოთმინება ღალატობს და რადიომსმენელს შეტევითი კილოთი ესაუბრება ეკონომიკური პრინციპების თაობაზე. „შეტევის“ ობიექტი ორია. პირველი: „რას მიქვია, მეწარმე რომ აცხადებს, გადასახადებს არ ვიხდიო“. მეორე: „როგორ ბედავს მომხმარებელი, რომ. დენის ფულის გადახდას აგვიანებს! აი, ამისთანა არგადამხდელების ბრალია, ხელფასებს და პენსიებს რომ არ ვიხდითო“. დაუჯერებელია? არა, ფაქტი გახლავთ. და აი, შესაბამისი ნაწყვეტიც ინტერვიუდან:

**„ზოგიერთები კი იმდენად გათავხედდნენ, ამაყად ყელმოღერებულნი პრეზიდენტის თანდასწრებითაც კი აცხადებენ, — „აი, მე, არ შემაქვს გადასახადი ბიუჯეტში და ამით გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას ამ კოდექსის მიმართ“. საგადასახადო კანონმდებლობას შეიძლება აკრიტიკებდე, შეიძლება არ მოგწონდეს იგი, შეიძლება გასაუმჯობესებელია, მაგრამ სანამ კანონია, კეთილი უნდა ინებოს ყველამ და დაემორჩილოს კანონს — გადაიხადოს გადასახადი. ეს ყველას ეხება და გამგებმა დროულად გაიგოს პრეზიდენტის გაფრთხილება. სხვა შემთხვევაში კანონმაც თავისი სიტყვა უნდა თქვას და იტყვის კიდევაც.“**

**„გადასახადის ყველა გადამხდელი რომ სახელმწიფოს, ესე იგი, საქართველოს მოქალაქეთა წინაშე ვალს კეთილსინდისიერად იხდიდეს, ელექტროენერგიის დავალიანება რომ არ გვქონდეს და არ გვახრჩობდეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ლაპარაკი იქნებოდა არა მარტო ხელფასებისა და შემწეობის, პენსიების დროულად გაცემაზე, არამედ მათს გაორმაგებაზე, დიახ, გაორმაგებაზე. შემოსავლის 40-45 პროცენტი, როგორც ადრე ვთქვი, დამალულია. პირდაპირ უნდა ითქვას, ასეთი ადამიანები არათუ სახელმწიფოს ძარცვავენ, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ლუკმაპურის ფულიც საძებნი აქვთ. ესე იგი, ჩვენი პრობლემის სათავე ჩვენივე ზოგიერთი მოქალაქე, ზოგიერთი, თუ გნებავთ, მეწარმე და ის ადამიანებია, ამ სფეროში რომ მოღვაწეობენ. სწორედ მათ შორის უნდა ვეძებოთ იგი. სწორედ ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილისა და მათ მიერ მოსყიდულ მოხელეთა ბედოვლათობაა მთელი უბედურების თავიდათავი.“**



პრეზიდენტი არაფერს ბრძანებს იმაზე, რომ გადასახადთა სისტემა მრეწველობისათვის მართლაც მახრჩობელაა, სახელდობრ, ისეთია, რომ წარმოებას შეუძლებელს ხდის. კონკრეტულად, დამატებული ღირებულების გადასახადი (სხვა ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ) უფრო დიდია, ვიდრე დღეს საქართველოში ჯანსაღად აწყობილ მრეწველობაში შეიძლება იყოს მოგების პროცენტი. პრეზიდენტი არც იმაზე ბრძანებს რასმე, რომ საქართველოში მოქალაქე ვერ იხდის და ვერც გადაიხდის დენის გადასახადს იმ ნიხრით, რომელიც არსებობს და რომელიც რამდენჯერმე აღემატება დენის გამომუშავების ობიექტურად საჭირო ხარჯს. მითუმეტეს, პრეზიდენტი დუმს იმაზე, რომ საქართველოს 1991-92 წლების გადატრიალების შემდეგ უკვე არაერთხელ აქვს მიღებული და უარით გასტუმრებული მცირე და საშუალო ჰესების განვითარების და მშენებლობის პროექტები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოსაგან არც ერთი თეთრის ხარჯს არ მოითხოვდნენ. ამ პროქტების მიღების ნაცვლად, რომლებიც საქართველოს საკუთარ რესურსებს (წყლის რესურსებს) ემყარება, საქართველომ აირჩია შემოტანილ ნედლეულზე (მაზუთზე) აგებულ ენერგეტიკაზე ორიენტაციის გზა. არსებულ ჰესებს კი ისე ადვილად ანიავებს „პრივატიზაციის“ მიმართულებით, თითქოს საქმე საარსებო წყაროს კი არა, რომელიმე ფუფუნების საგანს ეხებოდეს.

პრეზიდენტი ამჯერადაც უმალავს მსმენელს მთავარს: სახელდობრ, იმას, რომ საბაზრო ეკონომიკა თუმცა გრძელვადიანი ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის. სახელდობრ, რომ აუარებელია თავისუფალი ბაზრის მქონე სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკური კატასტროფის მდგომარეობაში რჩებიან საუკუნეთა მანძილზე და დარჩებიან მანამდე, სანამ არ ეყოლებათ გონიერი ხელისუფლება, რომელიც ეკონომიკის ჩიხიდან გამოყვანას მიზნად დაისახავს. არც იმას ამხელს პრეზიდენტი, რომ სახელმწიფოს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკას არა **ერთი** მიზანი (ბიუჯეტის შევსება), არამედ **ორი** მთავარი მიზანი აქვს: ბიუჯეტის შევსება, ერთის მხრივ; და ეკონომიკის განვითარების რეგულირება და სტიმულირება მეორე მხრივ. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ორი ამოცანიდან, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მხოლოდ პირველის არსებობა იცის. მაგრამ ამის შეტყობა ძნელი არ არის. თუნდ მხოლოდ შეერთებულ შტატებში მთელი ბიბლიოთეკაა უკვე გამოცემული გამოკვლევებისა და სახელმძღვანელოების, რომლებიც ამ ერთადერთ თემას — საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკით სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის განვითარების სტიმულირებასა და რეგულირებას ეხება.

### პოლიტიკის სფეროში

პრეზიდენტი, როგორც იტყვიან, მაქსიმალურად იყენებს თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წარუმატებლობის გამართლების მთავარსა და ამჟამად უკვე ერთადერთ შესაძლო არგუმენტს: იმას, რომ მან, მსოფლიოს აღიარებით, სსრკ დემონტაჟს თავისი ღვაწლი დასდო და დღეს საქართველო სახელმწიფო ალმშენებლობის გზაზე მიჰყავს. საქართველო რა გზაზე „მიჰყავს“ მის ხელისუფლებას, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. რაც შეეხება სსრკ დემონტაჟს, თითქოსდა გორბაჩოვისა და მისი „გუნდის“ მიერ, ამის თაობაზე მკითხველს ორიოდე რიტორიკულ კითხვას შევთავაზებთ. როგორ ფიქრობთ: „ცივ ომში“ საბჭოთა კავშირის გამანადგურებელი დამარცხება გორბაჩოვის გუნდის დამსახურება იყო? ამ დამარცხების შემდეგ საბჭოთა კავშირის არდაშლა შესაძლებელი იყო? იმისთვის მოახდინა დასავლეთმა უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ძალისხმევა ორმოცი წლის მანძილზე, რომ შეიარაღებათა დოლში (ე. წ. „ცივ ომში“) დამარცხებული იმპერია კვლავ იმპერიად და ზესახელმწიფოდ დაეტოვებინათ? თუ საბჭოთა კავშირს დაშლის გზა გორბაჩოვმა და მისმა „გუნდმა“ საკუთარი ნიჭითა და ძალით თავს მოახვიეს, როგორ მოხდა, რომ ამოდენა ამოცანა გორბაჩოვისთანა თვალში საცემად ულიმლამო და არაძლიერმა პიროვნებამ აზიდა? და ბოლოს: თუ რუსეთის მმართველმა ჩრდილოვანზე ჩრდილოვანმა და ელიტარულზე ელიტარულმა ჯგუფმა იცოდა, რომ რუსეთის იმპერიას საგარეო დათმობათა გრძელი პერიოდი ელის, თვით იმპერიის დაშლის ჩათვლით (ამის არცოდნას კი მას, ცხადია, ვერ მივაწერთ), მაშინ რა უფრო ბუნებრივია: ეს პროცესი რუსი „მოღვაწეების“ ხელით ჩაეტარებინათ და ამით თავის ქვეყნის, როგორც რუსეთს, დამარცხება დაეფიქსირებინათ მომავალი ისტორიის მატიანეში, თუ ამისათვის განტევების ვაცად სხვა ერის, მითუმეტეს, — სსრკ-ში მაღალ პოსტებზე ყოფნის ტრადიციის მქონე ერის შვილი მოეწვიათ? მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის, და ამაზე ისტორიამ თვითონ იმსჯელოს.

### პრეზიდენტი მართალს არ ამბობს პოლიტიკის დარგში

შიდა ქართლი, რომელსაც პრეზიდენტი, წინააღმდეგ კანონისა, „ოსეთად“ იხსენიებს, საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციის მიერ ხელჩაქნეული და დიდი ხნის კაპიტულაციაგამოცხადებული თემაა. მას პრეზიდენტი რამდენიმე სტრიქონს უთმობს:

**„სხვათა შორის, ცხინვალის რეგიონში, ოსეთში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო — ადამიანების გატაცება, ფულის გამოძალვა, დახვრეტა და სხვა მრავალი.“**

დეზინფორმაციას ამ სტრიქონებში მხოლოდ აწმყო დროში დასმული ზმნა — „იყო“ — წარმოადგენს. დანარჩენი მართალია.

**შემატკივარი**

(მე-2 გვერდიდან)

# ვუფრთხილდეთ ჯერ საკუთარ ხელისუფლებას და მერე რუსეთს

მიდის ჩვენი ხელისუფლებასავით, არამედ სხვადასხვა ტაქტიკური სვლებით ნელ-ნელა მიიწევს სტრატეგიული მიზნისაკენ. ხელისუფლებამ ამ მიზნის მიღწევისათვის მობილიზება უნდა გაუკეთოს ყველა იმ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, რომელიც მის ქვეყანას გააჩნია.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტის ამ ისტორიულ მომენტში საქართველოს ხელისუფლების სათავეში ალ-



მოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი აღზრდითა და სულისკვეთებით მარიონეტული კოდით იყვნენ დაპროგრამებულნი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქვეყნის მართვის უნარი არ გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, დღევანდელი დღის ამოცანაა იმის შენარჩუნება, რაც ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს. ის აზრი, რომ დასაკარგი რაღა დაგვრჩაო, არ არის სწორი.

ქვეყნის სრულ დაღუპვას ერთ-ორი გაუთვლელი ნაბიჯის გადადგმა სჭირდება, რაც ამ ხელისუფლებას ყველაზე კარგად ეხერხება. მისი მოღვაწეობის ერთი თვალის შევლებით კარგად ჩანს, რომ მასთან აქტიური დაპირისპირება ან რაიმე ეროვნული გამარჯვების მოპოვებისათვის რეალური ნაბიჯის გადადგმა ქვეყანას ბუმერანგივით უბრუნდება უკან და განადგურების ტალღად უვლის სოფლებსა და ქალაქებს.

პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს შედეგს. აქედან გამომდინარე, ეს განზრახ კეთდება, თუ უნებლიედ, მთავარი არ არის. თუკი ვინმე შემომედავება ჩემს მტკიცებაში მოკლედ გავახსენებთ ფაქტებს. პირველი ფაქტი: 1992 წლის 24 ივლისის სოჭის სამარცხვინო ზავი რუს-ოსებთან, მაშინ, როცა ცხინვალზე ქართველთა რკალი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და ოსური სეპარატიზმის ეს ბასტიონი აშკარა დაცემის წინაშე იდგა. შედეგი-ქართველთა გენოციდი, მათი გამოდევნა სამაჩაბლოს მიწებიდან და ოსური სეპარატისტული სახელმწიფო წარმონაქმნის აღზევება თავისი პარლამენტით, მთავრობით და სხვა სახის სახელმწიფო ატრიბუტით, რომელიც 1994 წლის 17 იანვარს ჩატარებული რეფერენდუმით ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან გაერთიანებას და საბოლოო ჯამში რუსეთთან შეერთებას მოითხოვს.

მეორე ფაქტი: აფხაზეთის ომის დასაწყისში 1992 წლის სამი სექტემბრის ხელშეკრულების დადება რუს-აფხაზებთან მაშინ, როცა ქართული ჯარების მიერ სოხუმი და გაგრა აღებულია და გუდაუთის სეპარატისტული ბანდა სრულ ქაოსში მყოფი გაქცევის პირასაა მისული. შედეგად, გაგრიდან ბრძოლისუნარიანი ნაწილების გამოყვანა და შემდეგ მისი დაკარგვა, რითაც გუდაუთელები უშუალოდ რუსეთის საზღვარზე ანუ თავიანთ მაცოცხლებელ არტერიაზე გავიდნენ, საიდანაც ადვილად იღებდნენ სამხედრო ტექნიკას და ცოცხალ ძალას დახმარების სახით.

მესამე ფაქტი — ქართველთა ზურგში მტრის მეორე ფრონტის ხელუხლებლობა ტყვარჩელის დაჯგუფების სახით, რომელმაც ერთ-ერთი გადამჭრელი როლი ითამაშა სოხუმის დაცემაში.



მეოთხე ფაქტი — სოხუმზე მტრის ერთწლიანი წარუმატებელი შეტევების შემდეგ, რომელიც ფიტავდა და ძალებს აცლიდა ათასი ჯურის სეპარატისტს საქართველოში, 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე ქართველთა სრული განიარაღება, რის შედეგადაც მივიღეთ ქართველთა საშინელი გენოციდი და დაკარგული აფხაზეთი, რომლის ქართული მოსახლეობა მოშიმშილე ლტოლვილად იქცა.

მეხუთე ფაქტი — ზვიადისტებთან ბრძოლის მოტივით სამეგრელოს მოსახლეობის ეგზეკუცია, მისი მასობრივი ძარცვა-გლეჯვით ძველი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლთა მომრავლება და გაძლიერება. შემდეგ მათთან გაუმკლავებლობის არგუმენტით რუსის ჯარის მოწვევა და „ესენგეში“ შესვლა, რომელსაც ადრე მკვდარშობილად აცხადებდა სახელმწიფოს მეთაური, რადგან მაშინ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას სჭირდებოდა ეროვნულ პოზიციებზე მტკიცედ დგომის თამაში.

მეექვსე ფაქტი — რუსეთის საოკუპაციო ჯარისა და აფსუა სეპარატისტთა სათარეშოდ ქცეულ აფხაზეთში ლტოლვილი ქართული მოსახლეობისათვის დაბრუნების საშუალების მიცემა, რის შედეგადაც აღნიშნული მოსახლეობა მტრის ხელში მძევალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. პარტიზანების მიერ გალიზიანებულმა მტერმა მძევლებზე შურისძიება განიზრახა, რაც გამოიხატა ბოლოდროინდელი გალის ტრაგედიით. საქართველოს ხელისუფლება ლტოლვილთა დაბრუნების მოტივით ხელს აწერს გაგრის ხელშეკრულებაზე, სადაც პარტიზანები დივერსანტებად და ტერორისტებად არიან მიჩნეულნი და მათთან ერთობლივი ბრძოლის

(გაგრძელება მე-5 გვ.)

# ვინ ვის უნდა შეურიგდეს?!

## ხმა ხალხიდან

როცა შერიგებაზე ლაპარაკობენ, გაოცებული ვეკითხები ჩემს თავს: ვინ ვისთან არის გაბუტული და ვინ ვის უნდა შეურიგდეს?! მე პირადად, ასეთები არ მეგულება. არიან გამარჯვებული პუტჩისტები და მორალურად, ზნეობრივად და ეკონომიურად დამარცხებულ-განადგურებული საქართველო.

არსებობს ერთადერთი საშუალება — მათ, ვინც უკიდურესობამდე მიიყვანეს ქვეყანა, გაძარცვეს სახელმწიფო ბანკები, მიითვისეს ხალხის კუთვნილი ქონება — ეგრეთწოდებული პრივატიზაციის სახით, ვისაც „დიდი წვლილი“ მიუძღვის დაღუპვაში, 300000-ზე მეტი ადამიანის ლტოლვილად ქცევაში, არასრულწლოვნების გაუპატიურება-გაუბედურებაში., ქურდობის, ნარკომანიის, ჰომოსექსუალიზმის გაფართოება-გაძლიერებაში, მთელი საქართველოს უპურისფულოდ დატოვებაში, ვინც მასხრად აგდების მიზნით 10 ლარი პენსია და ხელფასი დაუნიშნა ხალხს, იმ პიროვნებებმა უნდა დააბრუნონ მიტაცებული ფასეულობანი და სახალხოდ ბოდიში მოუხადონ შიმშილისა და ათასგვარი დაავადებისგან გაუბედურებულ ხალხს. მერე უნდა მოეწყოს ნამდვილი, კანონიერი არჩევნები, რათა სახელმწიფოს სათავეში მოვიდნენ ხალხისა და ქვეყნის გულშემატკივარი ეროვნული კადრები.

ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს არ არსებობს დარგი (გარდა უმნიშვნელო გამონაკლისებისა, რომელიც ფუნქციონირებს და ხალხის საკეთილდღეოს აკეთებს რამეს.

დახურულმა, გაძარცვულ-გაპარტახებულმა წარმოება-დაწესებულებებმა ხელი შეუწყო მასობრივ უსაქმურობას, უსაქმურობა კი თავისთავად უმთავრესი მიზეზია ყველა იმ სისაძაგლისა და სიბინძურისა, რაც ხდება საქართველოში.

ასე რომ, არავითარი გაბუტულები არ გვყავს ქვეყანაში, ამიტომ, შესარიგებელიც არაფერი არ გვჭირს.

რომელ შერიგებაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყანაში არსებობენ ნაძარცვით გამდიდრებული მილიონერები და უკიდურეს სილატაკეში მყოფი ადამიანები. რომელი მხრიდანაც არ უნდა შეხედო საქმეს, პირველ პლანზე მაინც სოციალური მდგო-




მარეობაა. ოჯახს, რომელსაც არსაიდან არავითარი შემოსავალი არა აქვს და ყოველთვიურად გადასახდელი აქვს: ბინის, შუქის, წყლის, კომუნალური მომსახურების, სწავლის და ა.შ. ოფიციალური-აუცილებელი გადასახადები, როგორ ფიქრობთ, გადაიხდის?! კაცი გამოცდილი ილუზიონისტი უნდა იყოს, რომ ცარიელი ჯიბიდან ფული ამოიღოს: რაც ამოსაღები იყო, უკვე ამოიღეს მათ, ვინც დღეს ფუფუნებაში ცხოვრობენ.

დაუჯერებელია, რომ სიტუაცია, რომელიც დღეს საქართველოში სუფევს, პრეზიდენტმა, მთავრობამ და პარლამენტმა არ იცოდნენ. თუ არ იციან, დანაშაულია და თუ თვალს ხუჭავენ - უფრო დიდი დანაშაული.

იქნებ იმასაც ვერ ხვდებით, ძვირფასებო, რომ 3-4 სულიან ოჯახს, დღეში მინიმუმ 10 ლარი სჭირდება! თუ ოჯახში მხოლოდ ერთი წევრია დასაქმებული და მისი ხელფასი თვეში 20 ლარს არ აღემატება, წარმოგიდგენიათ, რა ხდება მათ ოჯახში?!

ამას წინათ, ერთი კაცი ესაუბრებოდა მეორეს — „ბიჭო, 8 დღე საავადმყოფოში ვიწექი და 700 ლარი დამიჯდაო“. თუ გიფიქრიათ, დაბალხელფასიანს, ან საერთოდ უმუშევარს რომ დასჭირდეს სასწრაფოს გამოძახება, წამალი, საავადმყოფო და ა.შ. რა მოელის მას. ძალიან კარგად იცით, რომ ამ კატეგორიის ადამიანები განწირულები არიან სასიკვდილოდ, მაგრამ თქვენ ფეხებზეც არ გკიდიათ. — რაც მეტი დავიხოცებით, მით უფრო ფართოდ გაშლით ფრთებს. რუსული ანდაზის არ იყოს: “Меньше народа, больше кислорода”!

თუ წარმოგიდგენიათ ოჯახი, სადაც 2-3 ან თუნდაც 1 ბავშვია, რამდენი რძე სჭირდება იმ ოჯახს. დიდებმა რომ ყველაფერზე იყაირათონ, ბავშვებს რა პასუხი უნდა გასცენ, როცა სწავლის ქირაა გადასახდელი და ბავშვს აბარებენ სკოლიდან — სანამ ქირას არ გადაიხდი, სკოლაში არ მოხვიდეო.

ელემენტარული ამბავი ავიღოთ. რამხელა საშინელებაა, როცა ზაფხულის პაპანაქებაში, ყოველ კუთხე-კუნჭულში ნაყინი იყიდება და შენს შვილს თუ შვილიშვილს უარს ეუბნები ამისთანა „ფუფუნების“ შეძენაზე.

აქ ყველა წვრილმან-მსხვილმანს ვერ ჩამოვწერ და არც არის საჭირო, ვინაიდან ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა დღეშიც არის საქართველოს მოსახლეობის 95%, დიახ 95% და არავითარ შემთხვევაში ნაკლები. ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად ვაკვირდები საქართველოს არანაკლებ 10 რაიონის მოსახლეობის ყოფას და ზედმიწევნით კარგად ვიცი, რაც ხდება ჩემს გაუბედურებულ სამშობლოში.

ამიტომ, ვისაც ეს გეხებათ, თვალი გაახილეთ და ისე შეხედეთ ყველაფერს. დღეს თვალის დახუჭვა და სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩაყოფა არ უშველის საქმეს. წუთისოფელი ძალიან ხანმოკლეა და თუ ფუფუნებაში არა, საშუალოდ ხომ მაინც უნდა იცხოვროს ადამიანმა.

ვინც ახლა უზრუნველად ცხოვრობთ, თქვენგან არაფერს არ ითხოვს საზოგადოება, გარდა იმისა, რომ მოხდეს კანონიერი პრივატიზაცია, აუნაზღაურდეს ხალხს ის წართმეული თანხები, რომლებიც სალაროებში ჰქონდათ შეტანილი, ამუშავდეს წარმოება-დაწესებულებები, დასაქმდეს ხალხი და მიეცეთ იმდენი გასამრჯელო, რომ ადამიანებად იგრძნონ თავი.

აი, ამის შემდეგ შეიძლება იფიქროს ხალხმა, რომ ქვეყანას პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი ჰყავს. ამის გარეშე თქვენ ხალხის თვალში ჩანხართ ძალადობით გამდიდრებულ მუქთახორებად, რომლებიც საზოგადოების ქონების ხარჯზე, დოლარებში არიან ჩამხრჩვალები.

სოციალური სფეროს მოგვარება თავისთავად ნიშნავს შერიგებას - ამიტომ ამაზე იზრუნეთ ბატონებო! — იზრუნეთ და ჩათვალეთ, რომ შერიგებულები ვართ.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

# დავით აღმაშენებლის პარტიის მიმართვა ქართველი ხალხისადმი.

**ძვირფასო მამულიშვილნო! დანო და ძმანო!**

ჩვენი სამშობლო თავის სახელმწიფოებრიობის 42 საუკუნეს ითვლის. ამ დროის მანძილზე ქართველ ხალხს ბევრი სიხარული და ტანჯვა უნახავს, მაგრამ თავისი იერსახე არასოდეს არ დაუკარგავს.

ამ ბოლო ხანს ქართველი ხალხისათვის ყველაზე ტრაგიკული პერიოდი დაიწყო მაშინ, როდესაც ორი საუკუნის წინ მეფის რუსეთმა დაიპყრო ჩვენი სახელმწიფო, ტახტიდან ჩამოაგდო გიორგი XII და ერთ დროს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო პროვინციად აქცია.

ახლა, როდესაც ქართველმა ერმა დიდი სისხლისა და ბრძოლის შედეგად მოიპოვა დამოუკიდებლობა, უპრიანი იქნება ქვეყნის აღორძინება დავიწყოთ იმ ინსტიტუტის აღდგენით, რომლის გაუქმებითაც დაიწყო ჩვენი დამონება, განადგურება.

კერძოდ, საქართველოში უნდა დამყარდეს კონსტიტუციური მონარქია. დრო ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. რესპუბლიკამ, დემოკრატიამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. საკითხი ისმის ასე: ან თავისუფლება კონსტიტუციური მონარქიის დამყარებით გზით, ან ისევ მონობის უღელი იმ გზით, რომელსაც ვადგავართ. ქვეყანაში კატასტროფულად იმატა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა, ამას ემატება ის, რომ უკვე თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტმა მთლიანად დაკარგა ხალხის ნდობა.

სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სხვა ქვეყნების მსგავსად ჩვენ საძებარი არა გვყავს საქართველოს ნაციონალური სამეფო დინასტია, ტახტის მემკვიდრე. კერძოდ, ღვთის მადლით გადარჩენილია ბაგრატიონთა დინასტია და ჩვენი აზრით, მეფის გვირგვინისათვის ყოველნაირად მზად არის ესპანეთში მცხოვრები მეფის ტახტის უპირველესი მემკვიდრე გიორგი XIII.

ძვირფასო თანამემამულენო! დიდი ქართველი მეფის - მეფეთა მეფის დავით აღმაშენებლის პარტიამ დაიწყო ამ მეტად აქტუალური საკითხის ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, რეფერენდუმისათვის ხელმოწერის შეგროვება. გთხოვთ, შემოგვიერთდეთ, გამოგვეხმაუროთ. ჩვენი მისამართია: კოსტავას ქ. 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, ოთახი №347. ტელეფონი: 33-53-26.

**როინ ლიპარტელიანი**
**დავით აღმაშენებლის**
**პარტიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი.**

## ახალი წიგნები

# ნოე ჟორდანია: პოლიტოლოგი და სოვეტოლოგი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მე-80 და ნოე ჟორდანიას 130-ე წლისთავს მიეძღვნა ახლახან გამოცემული ბროშურა, რომლის ავტორია ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი, ბ-ნი **ვაჟა შუბითიძე**. წიგნის რედაქტორია პროფესორი **ვახტანგ სართანია**, რეცენზენტი — პროფესორი **გურამ აბესაძე**.



ამ მცირე მოცულობის ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს ნოე ჟორდანიას მიერ ძირითადად ემიგრაციაში შექმნილ თხზულებებს და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მას, როგორც პოლიტოლოგსა და სოვეტოლოგს. ბროშურაში ქართველი მკითხველი გაეცნობა ნოე ჟორდანიას ბევრ ისეთ თხზულებას, რომელიც დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოა მისი გამოკვლევები რუსულ ბოლშევიზმზე, რუსებზე საერთოდ, საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე და საილუსტრაციოდ მკითხველს ვთავაზობთ ერთ პატარა ციტატას მისი ნაშრომიდან: **„ქართველი ერის სოციალური შენობა და მისი პოლიტიკური მდგომარეობა ქმნის მისი დემოკრატიული განვითარების უეჭველ შესაძლებლობას. ეს ზედმეტი საბუთია იმის, რომ ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთნის და რუსეთის საეგებიო გემზე მიბმული არ ვიყოთ!“**

# ვუფრთხილდეთ ჯერ საკუთარ ხელისუფლებას და მერე რუსეთს

(მე-4 გვერდიდან)

პირობას დებს, რითაც ლახვარს ცემს აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთ რეალურ გზას პარტიზანულ ბრძოლას. მაშასადამე, საქართველოს ხელისუფლების სახით საქმე გვაქვს იმ ფენომენთან, რომელიც არცერთ დარტყმას დაუბრუნებელს არ ტოვებს, მაგრამ სამწუხაროდ, მისი დარტყმები ისევ საქართველოს ძირეულ ინტერესებს ადგება. ამიტომ ყოველი ეროვნული ძალის ვალია ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში იმოქმედოს ძალზე ფრთხილად და ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე ლამის შედეგებზე პასუხისმგებლობის გრძნობით, რადგან მიუხედა-




ვად უდიდესი დანაკარგებისა, საქართველოს ჯერ კიდევ შემორჩა ყველა თვალსაზრისით ის პოტენცია, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და განმტკიცება. ამიტომ ამ პოტენციალს გაფრთხილება სჭირდება. დიახ, ხელისუფლებასთან საჭიროა იდეოლოგიური დაპირისპირება, პოლიტიკური დებატები, რათა მომავალი არჩევნებისათვის ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი, რომ ამ ხელისუფლებისათვის მანდატის გაგრძელება ქვეყნის სრულ დაღუპვას მოიტანს. მაგრამ დესტაბილიზაციის მომტანი ნაბიჯების გადადგმა, მასობრივი გამოსვლები, დემონსტრაციები და პიკეტები, შესაძლოა ისევ ხელისუფლების ხელშეწყობით უმართავ პროცესებში გადაიზარდოს, რაზეც ხელს ისევ ეს ხელისუფლება და მასთან სულიერად ახლოს მდგომი წრე მოითბობს. რუსეთს თავისი სტრატეგიული ზრახვები საქართველოში ჯერ ბოლომდე არ აღუსრულებია. მას სჭირდება სტაბილური სამხედრო ბაზები და მთელი შავიზღვისპირეთის ხელში ჩაგდება, რასაც ადვილად მიაღწევს, თუკი ქართველების კიდევ ერთ ურთიერთშუღლში მიიღებს ფარულ, მაგრამ აქტიურ მონაწილეობას, რაც ნიშნავს იმ მხარის მხარდაჭერას, რომელიც ამ მხარდაჭერის სანაცვლოდ რუსეთს შეპირდება იმას, რასაც ის ესწრაფვის საქართველოში. კიდევ უამრავი ნაღმია ჩადებული საქართველოს სხეულში, რომელთა ამოქმედება დესტაბილიზაციის შემთხვევაში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რაზეც დაწვრილებით ლაპარაკი საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ამჟამად მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეროვნულ ძალთა ვალია საქართველოს ხელისუფლებასთან ოპოზიციაში ყოფნის დღევანდელ პერიოდში იმოქმედოს ფრთხილად და მოზომილად. ხელისუფლების ქვეყნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას უნდა დაუპირისპიროს დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც საქართველოს გადარჩენის გზაზე დააყენებს.

**გია თვალავაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს დაბა წყნეთში, აგარაკებში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალ პირთა მიმართვა

**ბატონო პრეზიდენტო!**

ბოლო დროს დაბა წყნეთში განსახლებულ იძულებით ადგილნაცვალ პირთა შორის არაოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად მიმდინარეობს წყნეთის აგარაკების პრივატიზაცია. და რომ ამ ბრძანებულებით იძულებით ადგილნაცვალ პირებს ეკრძალებათ მათ მიერ ამჟამად დაკავებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზება.



იძულებით ადგილნაცვალ პირთა ერთმა ჯგუფმა ამ ინფორმაციის შემოწმების მიზნით განცხადებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს. თავის პასუხში (ასლი თან ერთვის) სამინისტრომ დაადასტურა, რომ პრივატიზაცია მიმდინარეობს. სამინისტროს პასუხისმგებელ პირებთან კერძო საუბარში ისიც გაირკვა, რომ უკვე პრივატიზებულია 14 ბინა და კოტეჯი, რის შესახებაც იქ მცხოვრებმა ადამიანებმა არაფერი იციან. გაირკვა აგრეთვე, რომ ამ პროცესის შემსრულებლები ცდილობენ დარჩენილი სააგარაკო ფონდის პრივატიზების დასრულებას უახლოეს პერიოდში, 1998 წლის სექტემბრამდე.

ქონების მართვის სამინისტრომ, თხოვნის მიუხედავად, თავის პასუხში არ მიუთითა ყველა იმ კანონსა და კანონქვემდებარე აქტზე („სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს მოქმედი კანონის გარდა), რომლებითაც ხელმძღვანელობს პრივატიზების განხორციელების დროს. ნათქვამია, რომ იძულებით ადგილნაცვალი პირების უფლებები დაცულია იმდენად, რამდენადაც მომავალ მფლობელებთან დადებული ხელშეკრულებებით (!) მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებამდე უნარჩუნდებათ რაღაც „საბინაო პირობები", რადგანაც მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საცხოვრებელი ფართის პრივატიზების შემდეგ მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ ფლობდეს, იყენებდეს და განკარგავდეს თავის ქონებას. ამდენად, საეჭვოა, სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტს თუ ხელშეკრულებას მეტი იურიდიული ძალა გააჩნდეს. აქედან გამომდინარე, ადგილნაცვალი პირები (საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები), ფაქტიურად, კერძო პირების ნებასურვილზე იქნებიან დამოკიდებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრ ადგილნაცვალ პირს რამოდენიმე წლის განმავლობაში უახლოესი ნათესავების თავისუფალ ბინებში ცხოვრების შემდეგ მათი დატოვება მოუხდა და ახლა ეძებს ახალ თავშესაფარს.

ჩვენთვის ნათელია, რომ ამ პროცესის დაჩქარებული ტემპით განხორციელება დაკავშირებულია მთავრობის მომავალ რეორგანიზაციასთან, რათა დღევანდელი მინისტრების, სახელმწიფო კანცელარიის მოხელეთა და პარლამენტის წევრთა გარკვეულმა ნაწილმა მოასწროს აგარაკების ხელში ჩაგდება. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენლებსაც იყენებენ. ადრეც, 1995 წლის 3 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება №242-5 აგარაკების პრივატიზების შესახებ მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ო. ფაცაციას ხელმოწერით და გრიფით „საიდუმლო", მაგრამ მაშინ პრივატიზაციის ეს უკანონო პროცესი შეჩერებულ იქნა.

ჩვენ წყნეთში თითქმის ხუთი წელია ვცხოვრობთ და არ დაგვიყენებია საკითხი ბინების პრივატიზების შესახებ, თუმცა საკუთარი ბინა (და არა აგარაკი!) არა მარტო მინისტრებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს სჭირდებათ. ფაქტია ისიც, რომ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, ხოლო გაურკვეველ საბინაო პირობებში დიდხანს ცხოვრება — მეტად მძიმე სოციალური და ფსიქოლოგიური ტვირთი. თუ ჩვენს მიერ ამჟამად დაკავებული ბინების პრივატიზება გარდაუვალია, საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს იძულებით ადგილნაცვალ პირთა ადამიანური უფლებები და ინტერესები და მიანიჭოს მათ ამჟამად დაკავებული ბინების პრივატიზების უპირატესი უფლება მაქსიმალურად შეღავათიან პირობებში. კერძო საკუთრების ქონა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში სულაც არ გულისხმობს იძულებით ადგილნაცვალი პირების მიერ აფხაზეთში დაბრუნებაზე უარის თქმას და უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკურ პროცესზე. ადგილნაცვალ პირთა უფლებებისა და ინტერესების სრული იგნორირება კი საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს წარმოაჩენს როგორც არადემოკრატიულ ქვეყანას, გამოიწვევს იძულებით ადგილნაცვალ პირთა სრულ უნდობლობას ხელისუფლებისა და პრეზიდენტისადმი და შეიძლება მიგვიყვანოს უმართავ პროცესებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოვითხოვთ:

1. გამოსცეთ განკარგულება, რომლითაც გაუქმდება გასაიდუმლოებული, და ამ თვალსაზრისითაც უკანონოდ ჩატარებული წყნეთის იმ კოტეჯებისა და ბინების პრივატიზაციის შედეგები, რომლებშიც ამჟამად იძულებით ადგილნაცვალი პირები არიან განსახლებული;
2. პრესაში და რადიოტელევიზიით გამოქვეყნდეს ყველა ის კანონი, ბრძანებულება, განკარგულება თუ სხვა კანონქვემდებარე აქტი, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს წყნეთის აგარაკებისა და ბინების პრივატიზება, აგრეთვე საპრივატიზაციო ობიექტების სრული ნუსხა. მიღებულ იქნას დამატებითი ზომები ამ საკითხზე იძულებით ადგილნაცვალ პირთათვის სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
3. გაუქმდეს წყნეთის აგარაკების პრივატიზების ყველა ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ლახავს იქ განსახლებულ ადგილნაცვალ პირთა მოქალაქეობრივ უფლებებსა და ინტერესებს, ხოლო აგარაკების პრივატიზების აუცილებლობის შემთხვევაში, მათში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს ამჟამად იქ განსახლებული პირებისათვის პრივატიზების უპირატესი უფლებისა და სხვა შეღავათების მინიჭებას;
4. დროებით შეჩერდეს იმ ბინის პრივატიზება, რომლებშიც ამჟამად განსახლებული ადგილნაცვალი პირები ჩვენი მოთხოვნების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათების არსებობის შემთხვევაშიც ვერ მოახერხებენ ბინების პრივატიზებას.

**ბატონო პრეზიდენტო!**

იმედი გვაქვს, გამოიჩენთ ჩვეულ გულისხმიერებას და ყურადღებითა და თანაგრძნობით მოეკიდებით საქართველოს მოქალაქეების (აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი პირების) სამართლიან მოთხოვნებს.

გთხოვთ, გამონახოთ დრო და ამ საქმის ვითარებაში სიცხადის შეტანის მიზნით უახლოეს ხანებში შეხვდეთ ქვემორე ხელისმომწერთა წარმომადგენლების ჯგუფს.

**14 ივლისი, 1998წ.**

**დაბა წყნეთში განსახლებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები.** სულ ათასხუთასზე მეტი ხელმოწერა

**საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს**

**ბატონო პრეზიდენტო!**

1998 წლის 3 ივლისს წყნეთში განსახლებულ იძულებით ადგილნაცვალ პირთა ჯგუფმა № კოლ-3508-60-1 კოლექტიური განცხადებით მივმართეთ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, რათა ეშუამდგომლა თქვენთან წყნეთის აგარაკების პრივატიზებასთან დაკავშირებით ჩვენი მოთხოვნების თაობაზე.

იმედი გვქონდა, რომ კომისია დაგვეხმარებოდა, ზუსტად გადმოგვცემდათ ჩვენს მოთხოვნებს და იზრუნებდა ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემების მოსაგვარებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, 1998 წლის 3 ივლისს კომისიის მიერ თქვენთან გამოგზავნილი №28 ოქმის ამონაწერი არ ასახავს დაბა წყნეთში განსახლებული იძულებით ადგილნაცვალი მოქალაქეების კოლექტიური განცხადების არსს. თქვენს მიერ გამოცემული №350-4 ბრძანებულება სრულად შეესაბამება კომისიის და არა ჩვენს მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, უშუალოდ თქვენთვის მოგვემართა წერილით, რომელშიც ჩვენი მოთხოვნები უფრო ზუსტად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და რომელსაც წყნეთში განსახლებული იძულებით ადგილნაცვალი პირების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოაწერა ხელი.

პატივისცემით,

წყნეთში განსახლებული იძულებით ადგილნაცვალი პირები.

## მრეწველობა

# შამპანური „სამეფო" მემკვიდრე „პრინცს" ელოდება

ერთ ბოთლ შამპანურზე დაპატიჟება „გაევროპელების" მსურველების დიდ ალტაცებას იწვევს. ასევე სიმბოლურად რაიმე შეხვედრის, დაბადების დღის აღნიშვნაც კი, ახლა „ნამეტნავად" გახშირდა ყველგან... შამპანურით; თვით „დამშეულთა" დაწესებულება-ორგანიზაციებშიც.

ამბობენ, მშიერს სასმელი ერთი ყლუპიც ეყოფა, რომ დაათროსო! — სხვები ნათქვამს ამატებენ — გააჩნია ბატონო ორგანიზმს და გააჩნია სასმელსო!




საქართველოში ამჟამად სტუმრობა უფრო ადვილია, ვიდრე მასპინძლობა. მიზეზების ახსნისაგან თავს ვიკავებთ, ვინაიდან თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ძველებურად გაისტუმრო მოკეთე, ადვილი საქმე როდია, თან ისეა რომ არ შერცხვე.

ამაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება სასმელს, დალიეთ ბატონებო (გინდათ ქალბატონებო) შამპანური „სამეფო" და თქვენ კიდევ დალევთ, რადგან მისგან არასოდეს არ მოიწამლებით...

ორხევის სააქციო საზოგადოება „ვაზიანი" ჩამოყალიბდა 1982 წელს. მისი გენერალური დირექტორია ახალგაზრდა კაცი, **დავით გივის ძე ახვლედიანი.**

დავით ახვლედიანმა სკოლა მოსკოვში დაამთავრა და შემდეგ სწავლა გააგრძელა იქვე — მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტში — ეკონომიკის ფაკულტეტზე. ეს კადრები ძირითადად მზადდებოდა დიპლომატიური ხაზით, როგორც საგარეო ვაჭრობის სპეციალისტები, მაგრამ იგი საქართველოში დაბრუნდა მაშინ, როდესაც მის ქვეყანას ძალიან უჭირდა.

საქართველოში დაბრუნებული სათავეში ჩაუდგა ორხევის სააქციო საზოგადოება „ვაზიანს", რომელსაც ბატონი დავით ახვლედიანი დღესაც შესანიშნავად უძღვება და კოლექტივიც მის პროფესიონალიზმს განსაკუთრებულად აფასებს. ჩვენ კი, მასთან საუბარმა, მისმა უშუალობამ შენიშვნის თავმდაბლური ფორმით მიცემის უნარმა და წესრიგმა მოგვხიბლა.

საქართველოში შამპანურის სასმელებში მანამდე ლიდერად ითვლებოდა შამპანური „ბაგრატიონი", რომელსაც უშვებს ავჭალის შამპანიურის ქარხანა და ასევე „იბერია", რომელსაც უშვებდა თერჯოლის შამპანიურის ქარხანა.

ამჟამად, საუკეთესო შამპანიურთა შორის მოსახლეობამ შამპანიური „სამეფო" დაასახელა.

შამპანიური „სამეფო", რომელსაც სწორედ ორხევის სააქციო საზოგადოება „ვაზიანი" უშვებს — დამზადებულია ადგილობრივი ჯიშის ყურძნის ციცქა, ჩინური, გორული, მწვანე და პინოსაგან.

— **ბატონო დავით, მოკლედ გაგვაცანით თქვენი საწარმოს შესაძლებლობები და მისი პროდუქცია.**

— ჩვენ თუ მოვინდომებთ, საათში შეგვიძლია ჩამოვასხათ 6000-ი წარმადობით სასმელი, მაგრამ ამჟამად რაღაც „მიზერულ" რაოდენობას ვასხამთ, რადგან არ არის ბაზარი, ამიტომაც ნახევარი დატვირთვით კი არა, მეოთხედითაც ვერ ვმუშაობთ. მაღალი დაბეგვრის გამო კონიაკის წარმოება ჯერჯერობით შეჩერებული გვაქვს, თუმცა როგორც სხვებს, ისე ჩვენც შეგვიძლია ვაწარმოოთ „ძალიან ძველი" „თბილისი", „ვარციხე", „ენისელი" — ჩვენი საფირმო ნაწარმი „ყაზბეგი", „ნოსტე", „დიდგორი" — ადგილზე თქვენ შეხედეთ და ალბათ შედარებაც გააკეთეთ. ზოგან დაგაზულ ღვინოებს უბრალო წესით ამზადებენ, მოიტანენ პირველადი ქარხნებიდან, შეუშვებენ გაზს და მორჩა! ჩვენ კი, პირველადი ქარხნებიდან შემოტანილ ღვინოებს ვამუშავებთ არანაკლებ 4 თვისა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოხდეს სასმელის „შამპანიზაცია". გვყავს შესანიშნავი მთავარი ტექნოლოგი, **ბატონი დევისმან ხიდაშელი.** მომზადებული და პროფესიონალი კადრები.

ამჟამად სავაჭრო ქსელში იყიდება ჩვენი შამპანიური „სამეფო" — ყველას ძალიან გვეამაყება და გვიხარია, რომ ჩვენს მოსახლეობას იგი ძალიან მოსწონს, გვენდობა და სიამოვნებით ყიდულობენ.

— **სამწუხაროა, რომ შეწყდა კონიაკის წარმოება, ამჟამად მხოლოდ შამპანიურის პროგრამას აწარმოებთ?**

— კონიაკი მაინც ძვირადღირებული სასმელია. თუმცა კონიაკი იქნება, თუ სხვა რამ, მის წარმოებას ხომ სახსრები სჭირდება. 4 ეტიკეტი, საცობი, ათიათასობით ბოთლი, მოგება კი ხომ იმდენი უნდა იყოს, რომ დახარჯული თანხები ამოვიღოთ და მუშახელიც პატიოსნად გავისტუმროთ. კონიაკზე მოთხოვნილება არ არის! თან კონიაკის დაბეგვრაზეც ზემოთ მოგახსენეთ. მისი წარმოება შევაჩერეთ, რადგან ხარჯიც უფრო მეტი გვქონდა.

სამაგიეროდ, ჩვენ გადავწყვიტეთ ჩამოვასხათ შუშხუნა ღვინო, „პრინცი", 350 გრამ პატარა ბოთლებში. ვაპირებთ არაყის „სამეფოს" ჩამოსხმას 250 გრ ბრტყელ ბოთლებში.

თავიდან შამპანიურის წარმოებაშიც კრიზისული მდგომარეობა გვქონდა, მაგრამ ეს მდგომარეობა თანდათანობით გამოსწორდა. უკეთესობისაკენ შეიცვალა. ჩვენი სახსრებით მუშაობის რისი საშუალებაც გვაქვს, მხოლოდ ესაა... ამიტომ ჯერჯერობით ვმუშაობთ მხოლოდ შამპანიურის წარმოებაზე.

— **ბატონო დავით, ხომ არ არის მოსალოდნელი, თქვენი სასმელის ფალსიფიცირება? რით განსხვავდება თქვენეული წარმოების ტექნოლოგია სხვათაგან?**

— ფალსიფიცირება, ვფიქრობ კეთდება იმ პროდუქტზე, რაც მასიურად და ძალიან ბევრი იყიდება. ჩვენ კი, „პიკისთვის" ჯერ არ მიგვიღწევია. თუმცა ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წარმოება გაიზრდება. არასოდეს რეკლამა არ გვქონია, მაგრამ ვინც კი ჩვენი სასმელის გემო „გაიგო", სხვასაც გაასინჯა.

ჩვენი ბოთლის საცობი განსხვავებულია და საკმაოდ ძვირი გვიჯდება. რაც შეეხება შამპანიურს, „სავეტსკი" შამპანიურის ადრინდელი მასალით მზადდება.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ მასალის შერჩევას, მის ტექნოლოგიას. გვაქვს კარგი პირობები, გულმოდგინე პერსონალი გვყავს და შესაშური ტექნოლოგებიც არ გვაკლია.

— **თქვენი სამომავლო გეგმები, რით გაახარებთ შამპანურის მოყვარულთ?**

— ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულია შუშის ქარხანა, რომელიც არ ფუნქციონირებს, გვინდა რომ ავამოქმედოთ. ახლა ბოთლები შემოგვაქვს თურქული ფირმა „შიშეჯამისაგან" და ძალიან ძვირი გვიჯდება. ამიტომ სჯობს აქვე რომ გვქონდეს ახლოს.

ჯერჯერობით ვუშვებთ ნახევრად მშრალ შამპანიურს, გვინდა ასევე ყველა კატეგორიის შამპანიურის წარმოება. მშრალი, შუშხუნა, დაგაზული, ნახევრად ტკბილი — რისი მოთხოვნილებებიც არის. ამას კი ყველაფერს თანხები სჭირდება.

მომავალში გვინდა, რაც შეიძლება მეტი და კარგი პროდუქცია გამოვუშვათ.

— **გისურვებთ წარმატებებს.**

**ქეთი ჩადუნელი**
**ნანა ქველაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაინც საიდან მიიღო სახელწოდება აფხაზეთმა?

ჯემალ გამახარიას და ბადრი გოგიას წიგნის „აფხაზეთი — საქართველოს ისტორიული ნაწილი“ გამოქვეყნების შემდეგ თუ კიდევ ვინმეს დარჩებოდა ეჭვი ისტორიული აფხაზების ქართველობაში, ძნელად დასაჯერებელი იყო, მაგრამ როგორც სახარებაშია ნათქვამი „ნეტარ არიან მორწმუნენი; ნუ განსჯით მათ რწმენისათვის (თუ იგი ნამდვილად რწმენაა!) აქ კი უნდა გავიხსენოთ პავლე ინგოროყვას სიტყვები: „კაცს თუ დანახვა არ სურს, ზღვის ნაპირად რომ იდგეს, წყალს ვერ შეამჩნევს.“ მართლაც, „გიორგი მერჩულეს“ გამოსვლის შემდეგ საბჭოურმა მეცნიერ-ისტორიკოსებმა გააგრძელეს ჭეშმარიტების არდანახვა, რაც ძირითადად მათი იდეოლოგიით იყო განპირობებული; ამიტომ როცა აფხაზეთის ისტორიის შესწავლა-გამოქვეყნებას ტაბუ მოეხსნა, ქართველ ისტორიკოსებს ხელახლა მოუხდათ ჭეშმარიტების მტკიცება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზემოთმოხსენიებული კაპიტალური ნაშრომის გამოსვლა, რომლის განხილვის პრეტენზია ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთის ისტორიის კვლევა-ძიების პრობლემატიკაში ამ წიგნს პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ შემდეგ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის გამოსვლას წინ უძღოდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი შრომების გამოქვეყნება, როგორიც არის პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის წიგნის „აფხაზ სეპარატისტთა სისხლიან ნაკვალევზე“, პროფ. ზურაბ რატიანის წიგნი „წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქით საქართველო“, პროფ. ანზორ თოთაძის წიგნი „აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა“, ბ-ნ. ალექსანდრე ონიანის მაღალმეცნიერული პუბლიკაციები, ბატონების ვალერიან ზუხბაიას, გერონტი გასვიანის, ბიძინა თავაძისა და ქალბ. ნათელა ფოფხაძის აქტუალური პუბლიკაციები (აღარაფერს ვამბობ უფრო ადრინდელი ავტორების აკაკი ბაქრაძის, როსტომ ჩხეიძის, მარიამ ლორთქიფანიძის, პავლე თოფურიას, მიხეილ კეკელიას, ლოვარდ ტუხაშვილის, რ. მიმინოშვილის, გ. ფანჯიკიძის, აბესალომ ტუღუშის, გ. ცქიტიშვილის, ოთარ ჯანელიძის და სხვების შესახებ.)

აღნიშნული ავტორების საერთო მეცნიერულმა ძალისხმევამ განაპირობეს აფხაზეთის ეთნიკურ ისტორიაში ჭეშმარიტების აღდგენა, და მაინც ამ საერთო ფონზე რაოდენ სამწუხაროა, რომ არის მეცნიერ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, რომელიც ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ წასულა და განაგრძობენ ორმოცი წლის წინანდელის მტკიცებას, თითქოს აფხაზები, დღევანდელი აფსუების წინაპრები იყვნენ და ისინი ქართველ ტომებთან ერთად წარმოადგენდნენ ამ რეგიონის აბორიგენულ მოსახლეობას (ყბადაღებული ორ აბორიგენული თეორია!)



გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი მეცნიერის მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა და სწორი მეცნიერული დასკვნების გვერდით განცხადება, რომ აფხაზთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხი შეიძლება არასოდეს გადაიჭრას?!

ისტორიულ მეცნირებას პრეტენზია აქვს იკვლიოს რა ხდებოდა ათასობით წლის წინ, ანტიკურ ხანებში, და თუ ჩვენთვის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს თუ რა ხდებოდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში 300-400 წლის წინათ, მაშინ სჯობს „თავზე ქუდი დავიხუროთ და წავიდეთ!“ მაგრამ ასე არ არის. ეს საკითხი ჩვენდა საბედნიეროდ გადაჭრილია! და იგი წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეების ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, პავლე ინგოროყვას, სიმონ ყაუხჩიშვილის, სარგის კაკაბაძის და სხვათა პერმამენტულ ძალისხმევისა და შრომის ნაყოფს.

ეხლა მოკლედ ტერმინის „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ შესახებ, რომელიც გახდა გაუგებრობის საგანი და რომელთა არასწორმა გაშიფვრამ ბევრი მკვლევარი გამოუვალ ჩიხში შეიყვანა. ჯერ კიდევ ოთხი ათეული წლის წინ პავლე ინგოროყვამ თავის ნაშრომში „გიორგი მერჩულე“, ეს საკითხი გაარკვია, მაგრამ ავტორს ცალკე, განსაკუთრებული კვლევის საგნად იგი არ გაუხდია, როცა სახეზე იყო უტყუარი და მრავალრიცხოვანი არგუმენტები აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთრივ ქართველი ეთნოსის (მეგრულ-ჭანურ და სვანურ ეთნოსთან ერთად!) კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებისა. მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება აღნიშნულ ტერმინზე ზედმეტად მიიჩნია, თუმცა არც უამისობა ყოფილა, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი ტერმინ „აფხაზს“ უკავშირებს შორეულ ტოპონომს, ხან მეგრულ სიტყვას „აფხას“, რაც გვერდს ნიშნავსო და ა. შ. მაგრამ ეს ყოველივე შორსაა სინამდვილისგან. „აფხაზი“ და „აფხაზეთი“, როგორც პავლე ინგოროყვა არკვევს წარმოებული ტერმინია და არა პირველ საწყისი. თავდაპირველად ეთნოსის საკითხი იყო ბასხი (მესხის, მოსხის, მოსოქის, მუშქის, მოსინიკის ერთ-ერთი ვარიანტი.) რეგიონს, რომელიც, დასახლებული იყო ბასხებით ეწოდებოდა აბასხეთი; ეს გახლდათ არც თუ დიდი მხარე, რომელსაც ჩრდილოეთით საზღვრავდა მთავარი კავკასიონის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სვანეთი (მისმიანეთი), სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აფშილეთი, ხოლო ჩრდ. დასავლეთიდან, ზღვის ზოლზე ემეზობლებოდნენ მეგრელ-ჭანები (სანიგები); იყო ზღვისპირა აბასხეთი და მთის აბასხეთი (აქ არაფერს ვამბობ აფშილეთის შესახებ, რომელიც აბასხეთის მცირე თემი იყო).

ამგვარად, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია დასახლებული იყო სამი ქართული ტომით: ბასხებით (მესხებით), მეგრელ-ჭანებით და სვანებით. პავლე ინგოროყვა ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ როგორც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჰქონია ადგილი მესხებისა და მეგრელ-ჭანების თანამეზობლობას, ასევე ანალოგია ყოფილა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონშიც.

რას ეფუძნებოდა მეცნიერი, როცა ამტკიცებდა, რომ აფხაზის პირველადი ფორმა იყო აბასხი? უპირველესს ყოვლისა ისტორიულ ცნობებს, რომ აღნიშნულ რეგიონში ცხოვრობდა ტომი მესხის, მოსხის სახელწოდებით (ჰეკატე მილანელი VI ს. ჩვ. წ. ამდე, პალეფანტე აბიდოსელი VI ს. ჩვ. წ. ამდე, სტრაბონი I ს). მესხის, ანუ ბასხის გაიგივება იქ მცხოვრებ მეგრულ-ჭანურ და სვანურ ტომებთან (ჰენიოხები, სანიგები, სანები, კორაქსები, მისიმიანელები და ა. შ.) გამორიცხულია. ერთადერთი ტომი, ქართის ენაზე მოლაპარაკე ამ რეგიონებში მესხები იყვნენ.

მეორე: ამ რეგიონში ერთ-ერთ მდინარეს (მძიმთას) ერქვა სატომო სახელი აბასკი (რაც იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენს; მაგ. გავიხსენოთ მდინარე როსი და ხალხი როსები), რაც ძველი იტალიური რუკებით დამოწმებულია და ეჭვს არ იწვევს.

მესამე: ერთ-ერთ მთას რეგიონში შემორჩა ეთნიკური სახელი ბასხუ, რაც არის ბასხის შეკუმშული ფორმა აფსუათა ენაზე.

ბიზანტიელები (ბერძები) ამ ტომს ეძახდნენ აბაზგებს, რაც უდაო დასტურია იმისა, რომ აფხაზის პირველადი ფორმა აბასხი იყო (ხოლო აბასხი რომ ბერძნულად აბაზგად წარმოითქმის, ისევე როგორც სანიხი სანიგად, ეს უკვე ქართველ მეცნიერთა მიერ დადგენილია).

იქნებ დამაჯერებლობა აკლია? თუ ეს ასე ეჩვენება ვინმეს, კიდევ დავამატებთ: ცნობილი ბერძენი სწავლული პროკოფი კესარიელი (ნაშრომი „ომი გუთებთან“ წიგნი IV თავი IX) მოიხსენიებს ციხესიმაგრეს აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელწოდებით აბასხნი.

არქანჯელო ლამბერტი, იტალიელი მისიონერი, რომელმაც ორ ათეულ წელზე მეტი დაჰყო დასავლეთ საქართველოში და სამეგრელოზე დაწერა ნაშრომი, რომელშიც იგი სხვათა შორის აღნიშნავს „...აბხაზები ანუ აბასქები (ხაზი ჩემია ბ. ჭ.), როგორც ჩანს მე-17 საუკუნეშიც კი ინერციით ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი იყო ეს პირვანდელი ფორმა.

როგორც ცნობილია, ყველა ხალხს თუ ტომს საგვარეულო სახელწოდებაში თავისი ასახვა აქვს (მაგ. რუსიშვილი, კახეთელიძე, ჭანიშვილი, სვანიძე, ხევსურაშვილი, ბერძენიშვილი, თურქიშვილი, სპარსიაშვილი და მრავალი სხვ.). ისმის კითხვა: აისახა თუ არა საგვარეულო სახელწოდებაში აბასხის, ბასხის ტომის ტერმინი? დიახ, გამონაკლისი არც ამ შემთხვევაში გვაქვს: არის ცნობილი გვარი ბასხაძე ანუ ბაზღაძე (სასაცილო იქნება

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



# სდექ! დაცვის პოლიცია ღვიძავს!

ჯერ კიდევ ახალგამომცხვარი მილიციელი იყო... მაშინ დაკავების ჯგუფში მუშაობდა, თუმცა იარაღს ჯერ ვერ ატარებდა (უფლება არ ჰქონდა).

ბელინსკის ქუჩიდან ცენტრალურმა სამეთვალყურეო ჯგუფმა განგაში ატეხა. დაკავების ჯგუფი დაუყოვნებლივ გაემართა საეჭვო ადგილისაკენ. ჯგუფს განყოფილებიდან დამატებით პოლიციელს ატანდნენ ხოლმე, ვისაც იარაღი უნდა ჰქონოდა.

ცრუ განგაში ეგონა ყველას (რას იზამდნენ, ხშირი იყო ამგვარი შემთხვევები), იარაღი არ ჰქონდა არცერთს... მიადგნენ ქიმწმენდას. კარ-ფანჯარა დაკეტილი დახვდათ, თუმცა გასაღები იქვე იდო.

— იქნებ თანამშრომლებს ასე დარჩათ? გაიფიქრეს, უიარაღოებმა კარი მაინც გადარაზეს ყოველ შემთხვევისთვის, თორემ ქიმწმენდიდან ვინ რას წაიღებსო, გულში იცინოდნენ.

განყოფილებიდან ხელახლა გამოძახებულ იარაღიან თანამშრომლებთან ერთად გაალეს კარები. ამოატრიალეს ყველაფერი... კაცის ჭაჭანება არ იყო, არადა წასაღებად შეკრული ბარგი სხვაზე მეტყველებდა. დიდი ოდენობით გაწმენდილი „დუბლიონკებისთვის“ დაუდგამთ ქურდებს თვალი. ბევრი ეძებეს... ერთ პატარა ოთახში ბოლოს და ბოლოს ქურდი იყო, ნემსი ხომ არა?

გასარეცხ თეთრეულში გახვეული წითელმა ნასკვებმა გაჰყიდა უბედური...

მეორე უკეთეს ადგილას იპოვეს. გარეცხილი თეთრეულის თაროზე ზეწარგადაფარებული იწვა.

ოპერაცია „უიარაღოს“ არცთუ შემთხვევითი მონაწილე ბატონი **ბუდუ გაგნიძე** დღეს მთაწმინდის რაიონის საკუთრების დაცვის პოლიციის უფროსი გახლავთ და ახლა ღიმილით იხსენებს წარსულ ამბებს. როგორც გითხარით, რიგითი პოლიციელიდან დაიწყო. ყველა საფეხური ნაბიჯ-ნაბიჯ, დიდი მონდომებითა და მოთმინებით გაიარა და ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით იმ განყოფილების უფროსიც გახდა, სადაც პირველად მუშაობა დაიწყო.

მთაწმინდის საკუთრების პოლიციის განყოფილების უფროსი 50 წლის წინ ამავე რაიონში დაიბადა, სკოლაც აქვე დაამთავრა...

ახლადშექმნილ ოჯახში საყვარელი მეუღლე და ახლადშეძენილი, 11 თვის ქალბატონი, ერთიციდა მაცაცო სასიამოვნო ატმოსფეროს უქმნიან.

სამსახური მაინც სამსახურია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ყოფნა დიდ სიამოვნებას ანიჭებს, უმეტეს დროს (დილის 9 სთ-დან ღამის 2-3სთ-მდე) სწორედ სამსახურს ანდომებს. თავად ფხიზლობს, რომ სხვას მშვიდად ეძინოს.

— მე რომ სახლში მალე წავიდე, გამორიცხულია, — ამბობს და იცინის: უფროსს თუ ძინავს, დარწმუნებული იყავი, ნახევარი პოლიციაც მის დღეშია.

იქნებ, სწორედ ამის გამოა, რომ ბოლო წლებში მთაწმინდის რაიონში სერიოზული ქურდობა არ მომხდარა? უფრო სწორად, იმ ობიექტებზე, რომლებსაც მთაწმინდის რაიონის დაცვის პოლიცია დარაჯობს, ბატონი ბუდუს ხელმძღვანელობით. იქნებ, იყო კიდეც, მათი გაძარცვის მცდელობა, მაგრამ პოლიციელთა სიმარჯვის, სისწრაფის თუ ბედის წყალობით მატერიალური პასუხისმგებლობა ჯერ არ დაჰკისრებიათ (ჯვარი ეწეროთ!).

პოლიციის უფროსთან, თუ სხვა თანამშრომლებთან ერთად, კომპიუტერული სისტემა „ფხიზლობს“. შენობაში შესვლისას ბოროტმოქმედის ადგილსამყოფელს პირდაპირ აჩვენებს კომპიუტერი და არცთუ ბრმად მიმავალი პოლიციელები დროს აღარ კარგავენ. დამნაშავეს ან ფაქტზე იჭერენ, ან ხელმოცარულს დააფრთხობენ ხოლმე.

— დღედაღამ სამსახურში ვართ, როგორც ლამურები, ამბობს ბატონი ბუდუ ხუმრობით (ჩვენს მასპინძელს იუმორი საკმარისზე მეტიც აქვს).

არ ვიცი, დღედაღამ სამსახურში ყოფნისთვის თუ საქართველოს მთლიანობისათვის გაწეული ბრძოლისთვის პრეზიდენტმა რიგგარეშედ მისცა ვიცე-პოლკოვნიკის წოდება.

ეს უკვე წინსვლისა და გამარჯვების საწინდარია...

**მანანა გელოვანი**
**ნანა ძველაია**

# ამერიკელი „სანტა კლაუსი“ და სტუმრად ქცეული მასპინძლები

საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჯორჯიან ფაუნდეიშენი“ ხუთი წელია, რაც შეიქმნა და ფუნქციონირებს. რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს ორგანიზაცია ამერიკაში დაფუძნდა ახალგაზრდა ქართველი ექიმის, ფსიქონევროლოგ **დათო სიგუას** მიერ და მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნისათვის სამედიცინო-ჰუმანიტარულ დახმარებას. 1992 წლიდან საქართველოში სამედიცინო აპარატურისა და მედიკამენტების სახით 23 მილიონი დოლარის ტვირთი შემოვიდა, რომელიც გადაეცათ საზოგადოების სოციალურად დაუცველ ფენებს (ძირითადად ლტოლვილებს და საავადმყოფოებს).

რამდენიმე დღის წინათ, კოჯრის ბავშვთა სახლს ეწვია ამ ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი ქალბატონი **ნელი ჯავახიშვილი** და ამერიკელი ექიმ-კარდიოლოგი **რობერტ კლეინი**, რომელიც შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოშია ცნობილი თავისი ქველმოქმედებით.

რაც შეეხება კოჯრის საბავშვო სახლის მკვიდრთა და ბატონ რობერტს შორის დამყარებულ თბილ ურთიერთობას ეს ქალბატონ ნელი ჯავახიშვილის დამსახურებაა.

მოკლედ, ამერიკელი „სანტა კლაუსი“ საქართველოს ბავშვებს საჩუქრებით ესტუმრა. საჩუქრებით აღფრთოვანებული ბავშვები კი მადლიერნი არიან ამერიკელი სტუმრით.

ჩვენ კი ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ მართალია, ძალიან სასიამოვნო და მისასალმებელია უცხოელთა თანადგომა, მაგრამ საინტერესოა, სანამდე უნდა ვიყოთ ასეთ მდგომარეობაში, სხვისი შემყურე სტუმრადქცეული ქართველი მასპინძლები.

**გელა ბესელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაინც საიდან მიიღო სახელწოდება აფხაზეთმა?

*მეშვიდე გვერდიდან*

ამ გვარს ბეზლებასთან ან დაბეზღებასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, იგი უბრალოდ ხალხთა მეტყველებაში გარდაიქმნა). არსებობს აგრეთვე ამ ეთნოსის გვარწოდების სვანური ფორმა ბასხოლიანი, ანუ ბახსოლიანი, ფუძეში ეთნიკური სახელწოდება ბასხი. (ნუ გაგვაკვირვებს, რომ გვართწარმოებაში მეტათეზისი ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ: იყო სალარიძე, გახდა სარალიძე, იყო გოდერძიანი (საკუთარი სახელიდან წარმოებული გვარი) და გახდა გორდეზიანი და ა. შ.)

ვფიქრობ, ამ საკითხზე დასაბუთების გაგრძელება არ არის საჭირო, როგორც იტყვიან: ფაქტი სახეზეა. არსებობდა ხალხი, რომელთაც ერქვა ბასხები, ხოლო მათ სამკვიდრო სახელს ბასხეთი ანუ აბასხეთი. (თავსართი ა შემცვლელია პრეფიქსისა სა. როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს აბანო იგივეა, რაც საბანო; საჭანო იგივეა, რაც ა-ჭან-რა და ა. შ.).

მაგრამ ეხლა ისმის ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხი: როგორ მოხდა, ან რატომ მოხდა, რომ აბასხი და აბასხეთი გარდაიქმნა აფხაზად და აფხაზეთად?

როგორც ირკვევა (და ამის დამადასტურებელ არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი), ხალხურ მეტყველებაში ძალიან ხშირად ადგილი აქვს მეტათეზისს, ანუ სახელწოდების ფუძის წინ გადმოტანას. ეს მოვლენა შეინიშნება საქართველოში საერთოდ, მაგრამ განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს ეწოდებოდა აბასხეთი, ხოლო მე-9 საუკუნიდან ეს ტერმინი გადაიქცა აბხასეთად, აფხაზეთად. რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგვეჩვენოს ეს ერთი შეხედვით უჩვეულო მოვლენა, ნაადრევ დასკვნას ნუ გავაკეთებთ და როგორც ლვაწლმოსილმა მეცნიერმა პ. ინგოროყვამ მოგვცა სწორი მიმართულება, მივყვეთ მას. ლოგიკაში არსებობს მეცნიერული თეზა, მეცნიერული არგუმენტი, რომელსაც ანალოგია ჰქვია. შეიძლება ერთი, ორი ანალოგი ვერ იყოს დამარწმუნებელი არგუმენტი, მაგრამ როცა იგი გარკვეულ რაოდენობაში გადადის უარყოფა შეუძლებელია. მაგალითად, ქართულ ენობრივ სამყაროში ფრიად გავრცელებულია სუფიქსს „თა“-ზე დაბოლოებული ტოპონიმები, რაც კუთვნილების, წარმომავლობის, თვისების მაჩვენებელია. მაგ. არგვეთა (იმერეთში), ბელანთა (ჯავახეთში), გურიანთა (გურიაში), ხორანთა (ჰერეთში), კორინთა, მცხეთა, მლეთა, ჩხიკვთა, ქანთა (ქართლში), ხანძთა (კლარჯეთში), წუნთა (მესხეთში), კველთა, იკორთა და ა. შ. როგორც ცნობილია



არც აფხაზეთია ამ მხრივ გამონაკლისი: ახეულნთა, ბრუხონთა, ბიჭვინთა, გუმისთა (და არა გუმისტა, როგორც ჩვენდა სამარცხვინოდ ზოგი მეცნიერი წერს), გუდაუთა, დრაჶთა (დრანდა), ლიხთა, მძიმთა, მაწესთა, ცანთა, ჩხალთა, ხოსთა (და არა ხოსტა), ურთა, წიბელთა, ფუსთა და ა. შ. ლოგიკური დასკვნა: აფხაზეთი დასახლებული იყო იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხით (ეთნოსით), რომლითაც დასახლებული იყო დანარჩენი საქართველო.

ეხლა კი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ხალხურ მეტყველებაში არსებითი სახელების მეტათეზისი.

თავდაპირველად იყო: გრიგოლი (კაცის სახელი) — გახდა გოდერძი (აქედან გვარი გოდერძიანი); იყო: იკორთა (ტოპონიმი) — გახდა რიკოთა; იყო: კიცვი (დამოწმებულია ძვ. ქართულ მწერლობაში) — გახდა კვიცი; იყო მარგალი (დასავლეთ ქართ. ეთნოსი) — გახდა მაგრალი-მეგრელი (ყურადღება მიაქციეთ ფუძეში რ-სა და გ-ს გადაადგილებას), იყო მუხრანი (ამ თანამიმდევრობითაა იგი წარმოდგენილი ქართლ. ცხოვ.); იყო: სომხითი; იყო: ოზურგეთი (ტოპონიმი შერქმეული ჭანების მიერ) — გახდა ოზრუგეთი; იყო: შარაბამი (აზერბ. ჩრდ. რეგიონი. ქართლის ცხოვრება. თ. IV გვ. 1086) — გახდა შაბრანი; შაბურანი: იყო: ცალერი (უნივთო, გამოცარიელებული) — გახდა ცარიელი (დას. საქ-ში); იყო ვარაზ ბაკური (პიროვნება ვახტანგ გორგასლის დროს ქ. ცა) — გახდა ვარზა ბაკური (ქ. ც. ა), იყო შავლა (შავლეგო, შავგრემანი, კაცის სახელი) — გახდა შალვა: იყო ბასიქარტოს (წმ. გიორგის მსახურის სახელი) — გახდა ბასიკრატოს...

მკითხველისათვის მიგვინდია დასკვნის გაკეთება: შეიძლებოდა თუ არა ამ ლოგიკის საფუძველზე აბასხეთის მაგივრად, აბხასეთი, აფხაზეთი მიგველო. ცხადია, თავდაპირველი ფორმა აფხაზეთისა — აბასხეთი დოკუმენტურად რომ არ არსებულიყო მისი წარმოდგენა, ან ხელოვნური შექმნა არადამაჯერებელი იქნებოდა. მაგრამ, ეს ხომ ასეა?

ფაქტებიდან ირკვევა, რომ მეტათეზისის მოვლენას ხალხურ მეტყველებაში ადგილი ქონია არა მარტო ქართულ ენაში, არამედ თუნდაც რუსულში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ის, რომ რუსები, რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში ივერიელებს, ობოზებს გვეძახდნენ, (ცხადია აბხაზზე დაფუძნებით), შემდგომში შუა აზიური მომთაბარე ტომების რუსეთში შემოჭრისა თუ სხვა ისტორიული კატაკლიზმების გავლენით ეს ტერმინი დავიწყებას მისცემია და თურქულ-სპარსული გავლენით ჩვენთვის გურზი (გურჯი) უწოდებიათ, რაც დოკუმენტურად (საქართველოში რუსი ელჩების ისტორიულ წყაროებში) დადასტურებულია, მაგრამ უფრო მოგვიანებით გურზი გრუზიდ გადაქცეულა მეტათეზისის გამო. ბოლოში აღნიშნულ ტერმინს თან დაერთო რუსულ ენაში ეთნოსისათვის დამახასიათებელი სუფიქსი ნ და მიღებულია გრუზინ (როგორც არმიანინ, პერსიანინ, ოსეტინ, იუჟანიან და ა. შ.).

ამრიგად, ჩვენი დიდი მკვლევარის პ. ინგოროყვას ანალიზით მტკიცდება, რომ 1. ანტიკური ხანიდან დაწყებული საქართველოს ჩრდ.-დასავლეთ რეგიონში მეგრელ-ჭანებთან (ჰენიოხები, სანიგები, კორაქსები) და სვანებთან (მისიმიანელები სუანო-კოლხები) ერთად ცხოვრობდნენ საკუთრივ ქართის ტომები მესხები, რომელთაც ამ რეგიონში დაუმკვიდრდათ სახელი ბასხებისა და სწორედ ამ ტერმინმა მისცა სახელწოდება ამ მხარეს. მას შემდეგ კი, როცა აბასხების ინიციატივით მოხდა ამ რეგიონის ერთ პოლიტიკურ ერთეულად (სამეფოდ) გაერთიანება, ტერმინის (აფხაზეთის) მნიშვნელობა უფრო გაფართოვდა და რეგიონში მცხოვრებ სხვა არაქართულ ტომებსაც (მეგრელ-ჭანებსაც) აბხაზეთი დაერქვა. ვფიქრობ ამის შემდეგ მსჯელობა და ძიება იმისა, თუ საიდანაა წარმოშობილი სიტყვა „აფხაზი“, დროის ფუჭი ხარჯვაა.

აბასხები (მესხები) უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და მათ აქ შექმნეს ჭეშმარიტად მთელი ქართული კულტურა.

რაც შეეხება აფსუებს, ისინი აქ ჩამოსახლდნენ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-17 საუკუნეებში. ვისაც სურს დაადგინოს მათი ადრინდელი საცხოვრისი შეუძლიათ გამოიყენონ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს 1843 წელს შედგენილი ატლასი, სადაც აბსუას ხალხი ჩრდ. კავკასიაშია მითითებული და აგრეთვე იტალიელი კარტოგრაფის ჯაკომო გასტვალდის ლათინურ ენაზე 1561 წელს შედგენილი რუკა, სადაც აბსუათა სამშობლოდ აგრეთვე ჩრდ. კავკასიაა ნაჩვენები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთთქმული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე მოითხოვდეს მათ ძველ სამშობლოში გასახლებას. უფრო მეტიც, ამ ხალხის წინაპართა ერთი მნიშვნელოვანი ნაკადი ჯიქები, რომლებიც საქართველოს დაუმეზობლდნენ მე-5 საუკ-ში და შემდგომში ქართველებთან ერთად თამარის დროშის ქვეშ იბრძოდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ, ამჟამადაც ეძლევათ საშუალება ერთიან სახელმწიფოში სუვერენული უფლების შენარჩუნებით იცხოვრონ და განავითარონ თავიანთი კულტურა და კეთილდღეობა მთელ ქართველ ხალხთან ერთად.

დროა დამთავრდეს ზოგიერთი მეცნიერის ნიჰილისტური დამოკიდებულება პ. ინგოროყვას მეცნიერული მემკვიდრეობის მიმართ და ბოლო მოეღოს ამ მისამართით „ფანტაზიორის“, „რომანტიკოსის“ და მსგავსი ეპითეტების ძებნას, ხოლო საკუთარ თავში დაძლიონ კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი სამშობლოს კეთილდღეობისათვის და მეცნიერების ზეობისათვის.

გვინდა პუბლიკაცია დავამთავროთ პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეში“ მოყვანილი სიტყვებით: „ხაზგასასმელია აგრეთვე მნიშვნელოვანი გარემოება: აფხაზეთის მესხების სალაპარაკო ენა ჩანს იყო არა მეგრულ-ჭანური დიალექტი, არამედ საკუთრივ ქართული, ყოველ შემთხვევაში ადრინდელ პერიოდში. (ხოლო დროთა განმავლობაში მეგრულ-ჭანური გარემოცვის გამო მოხდა მათი სალაპარაკო ენის მეგრულით შეცვლა. ხაზგასმა და კომენტარები ჩემია ბ. ჭ.). ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ადგილობრივი გეოგრაფიული სახელწოდებანი უმთავრესად საკუთრივ დედა ქართულთან არიან დაკავშირებულნი“.

**ბიძინა ჭყონია.**
**ისტ. მეცნ. კანდიდატი**

# სიმართლის თქმა მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევა არ არის

რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში მიმდინარე „ელიზი“-„ომეგას“ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის სამსჯავრო გამოძიების პროცესში მონაწილე „ელიზის“ მხარის ზოგიერთი ადვოკატი „აღშფოთებას“ ვერ მალავს იმის გამო, რომ მასმედია აქტიურად აშუქებს ამ საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს, არც ფირმა „ომეგას“ დამცველ ადვოკატთა პრესკონფერენციები ეხატებათ გულზე-ყოველივე ეს ზეგავლენას ახდენს სასამართლოზეო...

მასმედია რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, ამაზე ნამდვილად არ ღირს კამათი, ეს ცხადია, ასეა.

გამომძიებელიც და მოსამართლეც ადამიანები არიან და, რასაკვირველია, არც მათთვისაა სულ ერთი, როგორი მიმართულებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იმ კონკრეტული სისხლის სამართლის ირგვლივ, რომელთა გამოძიება-განხილვაც მათ აკისრიათ.

„ელიზი“-„ომეგას“ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში პირველი სწორედ „ელიზის“ მხარე იყო, რომელმაც მასმედია გამოიყენა „ელიზელთა“ ნამუსმოსაწმენდად და „ომეგელებს“ ხან „კონტრაბანდისტობაში“ ადანაშაულებდნენ, ხან „პროვოკაციის მოწყობაში“, ხან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში და ა.შ.

ამით მათ ბიძგი მისცეს დაზარალებულ „ომეგელთა“ საპასუხო რეაქციას, რომლებმაც ხმამაღლა განუცხადეს ჟურნალისტებს-მობრძანდით, ნახეთ საქმის მასალები, შეისწავლეთ ვითარება, დაესწარით სასამართლო სხდომებს და რაც თქვენმა გულმა გიკარნახოთ და ნამუსმაც არ დაგიშალოთ, ის დაწერეთო...

ის ფაქტი, რომ ერთ ფირმას („ელიზს“) ბრალი ედება კონკურენტი ფირმის („ომეგას“) ჩამოცილების მიზნით ბანდიტური ჯგუფის ჩამოყალიბებასა და ბანდიტური თავდასხმის ორ ეპიზოდში 1300000-ზე მეტ აშშ დოლარის წართმევაში, ჩვენს რესპუბლიკაში პირველია (ღმერთმა ქნას, უკანასკნელიც იყოს) და ბუნებრივია, ამ თემის გამშუქებელ ჟურნალისტთა რიცხვიც გაიზარდა.

გარკვეული დროის შემდეგ, გააკეთეს რა პრესის ანალიზი, „ელიზელთა“ მხარემ თავი დაჩაგრულად იგრძნო და მაშინღა ატეხეს განგაში-სასამართლოზე ახდენენ ზეგავლენასო...

კი, მაგრამ, როგორ ბატონებო, იმით ვახდენთ „ზეგავლენას“, რომ:

— „ელიზელთა“ მიერ „ომეგელების“ „კონტრაბანდისტებად“ გამოცხადებას არავითარი კანონიერი საფუძველი არ აღმოაჩნდა და ეს დავწერეთ?

— „ომეგას“ თანამშრომლებზე შეიარაღებული თავდასხმების შედეგად გატაცებული ფული თავიანთ ბინებში რომ მიმალ-მომალეს თავდამსხმელებმა, შემდეგ კი, როცა საქმე გაიხსნა, „ამოღებული“ ფულის სახელმწიფო ბიუჯეტში „შეტანა“ გვინდოდა, რომ ამბობდნენ და ჩვენ არ დავუჯერეთ?

— წინასწარი გამოძიების მიერ ბანდის მეთაურად აღიარებული ფირმა „ელიზის““ პრეზიდენტი ისე გამოაცხადეს ბავშვობიდან „ეპილეფსიით დაავადებულად, არავის გახსენებია 1994 წლის 27 ივლისიდან 1996 წლის 12 მაისამდე საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეც. სამსახურში ინსტრუქტორის თანამდებობაზე რომ მუშაობდა, იარაღის ტარების უფლებაც ჰქონდა და ამ სამსახურში მიღების წინ, კენჭივით ჯანმრთელად რომ გამოაცხადა კომპეტენტურმა სამედიცინო კომისიამ. ჩვენ კი იმით ვახდენთ „ზეგავლენას სასამართლოზე, რომ ეჭვი გვეპარება ერთ კაცზე გაცემული ორი ურთიერთსაპირისპირო ცნობის ჭეშმარიტებაში?

— თ. ელიზბარაშვილის და სხვათა მიმართ ცალკე წარმოებად გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმე ერთ წელზე მეტი რომაა შეჩერებული და დაზარალებულ ფირმა „ომეგას“ ადვოკატების საჩივრებს პასუხსაც რომ არ სცემს რესპუბლიკის პროკურატურა, ამ ფაქტის საჯაროდ გამოტანაა სასამართლოზე „ზემოქმედება“?

— 1997 წლის 21 ივლისს ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის სამუშაო ოთახში ჩატარებული ჩხრეკისას, „ომეგელებზე“ უკანონოდ განხორციელებული სატელეფონო მოსმენების აუდიოჩანაწერების შინაარსი რომ აღმოჩნდა გაშიფრული თაბახის ოთხ ფურცელზე და ამ მტკიცებულების ირგვლივ, თ. ელიზბარაშვილის მიერ, სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა რომ აუცილებლად მივიჩნიოთ, ესაა „ზეგავლენა“?

ასე რომ, თუ თქვენ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა გაინტერესებთ, ეგებ იმითაც დაინტერესებულიყავით, ვინ მოახდინა ზეგავლენა ამჟამად განსასჯელ გელა ბატატუნაშვილზე, რომელიც ჯერ ბრალის აღიარებით, ნაბანდიტარ 200000 აშშ დოლართან ერთად გამოცხადდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და ბანდის მეთაურად თ. ელიზბარაშვილი დაასახელა, შემდეგ კი თავის თავზე აიღო ის დანაშაული, რაც საქმის მასალებით მას არ უმტკიცდება...

და ბოლოს:

ჩვენს დროში, როცა გამომძიებელ-ექსპერტ-მოსამართლეებს საარსებო მინიმუმიც კი არა აქვთ, ხოლო ბევრი ადვოკატი ეშმაკსაც კი დაუდგება დამცველად ფულის გულისათვის, მასმედიას შეუძლია (თუ ისიც არ გაიყიდა) გარკვეული დადებითი როლი ითამაშოს იმ მაქინაციათა გამოაშკარავებაში, რომელთა მოკვარახჭინებითაც შოულობენ ფულს მავანნი.

ფაქტებზე და ლოგიკურ დასკვნებზე აგებული პუბლიკაციები მხოლოდ სიმართლეს ემსახურებიან, სიმართლის თქმა კი, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევა არ არის, პირიქით, იგი სამართლის ზეიმს უწყობს ხელს.

**თამაზ ქველაძე.**

# აფხაზეთი და მუჰაჯირობა

გაგრძელება. დასაწყისი №47-48 ნომერში

ზ. ჭიჭინაძის გულუბრყვილო გუმანით, თურქეთში ოფიციალურად გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობა 50 ათას სულს მაინც უდრიდა, ხოლო ადგილზე დარჩენილთა 40 ათასს (აქედან, ვითომ 20 ათასი მაჰმადიანი და ამდენივე ქრისტიანი იყო). (იქვე, გვ. 169). ზ. ჭიჭინაძე იქვე მიამიტურად კითხულობს და დასძენს: „ნუთუ მთელი აფხაზეთი ძველად 100 ათას მოსახლეზე მეტი არ იყო, ეს შეუძლებელია." (იქვე, გვ. 168).

ზ. ჭიჭინაძე რომ აფხაზებზე ზეპირად და ზერელედ მსჯელობს, ეს ჩანს იქიდანაც, რომ მისი ვარაუდით, 1860-1866 წლებში, აფხაზეთიდან თურქეთში ვითომ 25 ათასი ადამიანი გადასახლდა და არა 15 ათასი. სინამდვილეში ამ დროს აფხაზეთიდან არავითარი მასობრივი გადასახლება არ მომხდარა. როგორც ვნახეთ, ეს გადასახლება მხოლოდ 1867 წელს (1866 წლის აჯანყების შემდეგ) განხორციელდა, როდესაც აფხაზეთიდან თურქეთში ზუსტად 19342 სული გადასახლდა, რაც ისევე ზუსტადაა დაფიქსირებული, როგორც საარქივო მასალებში, აგრეთვე დოკუმენტურ გადმოცემაში (იხ. გაზ. „დროება", 1880, №223.).

თურქეთში გადასახლებულ აფხაზებს შეპირებული ოქროს სასახლეებისა და ბედნიერი ცხოვრების ნაცვლად სილატაკე, შიმშილი და აბუჩად აგდება დახვდა. მათი დიდი ნაწილი მიხვდა, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ამიტომ უკან დაბრუნება სცადა და თხოვნით მიმართა რუსეთის საკონსულოებს სათანადო ნებართვა მიელო, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად უარისა, ზოგიერთმა მათგანმა ფარულად სცადა სამშობლოში წამოსვლა. ზოგიერთმა ჯგუფმა, ჯერ კიდევ მე-19 ს. 70-იანი წლების დასაწყისში ჩამოაღწია აფხაზეთში, მაგრამ ისინი ზღვის სანაპირო ზოლს არ გააკარეს და უცხო ადგილებისაკენ გაგზავნეს.

თურქეთში გადასახლებული აფხაზი მუჰაჯირები განსაკუთრებით გააქტიურდნენ მე-19 ს. მეორე ნახევარში, როდესაც თურქეთიდან ბათუმში დაბრუნებული 1200 აფხაზი ამაოდ შეეცადა აფხაზეთში დაბრუნების ნებართვის მიღებას. ზოგი მათგანი, სიცხისაგან გათანგული, შიმშილისაგან იხოცებოდა. (იხ. გაზ., „დროება", 1880, №233). აფხაზთა ყოველ მონოლას, სამშობლოში დაებრუნებინათ, სოხუმის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი არაკინი მუქარით ეგებებოდა, ვინც შავი ზღვის სანაპიროზე გადმოაბიჯებდა, რუსეთის შორეულ მხარეში გადავასახლოთო. (იქვე).



საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოწინავე ინტელიგენცია სისტემატურად და ენერგიულად იმაღლებდა ხმას აფხაზების დასაცავად, წინააღმდეგი იყო მათი თურქეთში გადასახლების, ასევე მოითხოვდა მათი უკან დაბრუნების ნებართვას. (გაზ., „დროება", 1867, №23, 100, 158; 1869, №122, 123 და ა. შ.)

აქედანაც კარგად ჩანს, თუ რა ზერელე და რეალობას მოკლებულია აფხაზი ავტორების გამონათქვამები აფხაზეთის მოსახლეობისა და აფხაზი მუჰაჯირების რაოდენობის შესახებ და ისიც, თუ ისინი რა ინსინუაციებითა და ტენდენციით არიან საერთოდ შეპყრობილი.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აფხაზი ავტორები და ასევე თუნდაც ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ზ. ჭიჭინაძე უდავოდ სწორი არიან იმაში, რომ მუჰაჯირობა ყველა კავკასიელის და მათ შორის აფხაზების უბედურება და ტრაგედია იყო, რაც უთუოდ თურქეთისა და რუსეთის მმართველი წრეების მუხანათობის შედეგი იყო. ფაქტია ისიც, რომ თავისი სამკვიდრებლიდან მოსახლეობის მოტყუებით თუ ძალით აყრა საერთოდ უდიდესი დანაშაული იყო კაცობრიობის მიმართ, მით უფრო, ისეთი მცირერიცხოვანი ტომებისადმი, როგორიც იყვნენ აფსუები, უბიხები, შაფსუღები, აბაძეხები, აბაზები და სხვები.

ეს გარემოება კარგად ჩანს ზ. ჭიჭინაძის მიერ გულისყურითა და თანაგრძნობით გაკეთებული ჩანაწერებიდანაც, რომელიც თურქეთიდან კავკასიაში დროებით ჩამოსული აფხაზი მუჰაჯირის მონაყოლს ემყარება:

„ჩვენი ქალები და ნამეტური დედაბრები და ბევრი კაცები ცხარე ცრემლით მისტირიან თავიანთ სახლ-კარს, რამდენჯერაც ისინი მოიგონებენ თავიანთ სოფლებს, იმდენჯერ მწარედ სტირიან ხოლმე, თქვენ არ გინახავთ მათი საცოდაობა და ტირილი, ამიტომ შეიძლება თქვენ ეს ვერც კი წარმოიდგინოთ." (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, გვ. 168).

როგორც უკვე ითქვა, თურქეთში გადასახლებული აფხაზთა რაოდენობა ისეა გაბუქებული, რომ აფხაზეთიდან და ადიღე-ჩერქეზეთიდან ერთად ძალით თუ ნებით გადასახლებულების რაოდენობას აღემატება. აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულთა რაოდენობა რომ უზომოდაა გაზრდილი, ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ იმდენი ადამიანი (100, 200 და 400 ათასი), რამდენიც აფხაზი ავტორების მიერაა დასახელებული, საერთოდ არასოდეს ცხოვრობდა საკუთრივ აფხაზეთში (სადაც მე-19 ს-ში ყველა ერთად: ქართველი, აფსუა, ბერძენი, სომეხი, რუსი და სხვა თითქმის 70-80 ათას სულს არ ჭარბობდა).

ამ ციფრებზე დაკვირვების შედეგად შემთხვევით როდი აღნიშნავს ეკონომისტ-მეცნიერი ა. თოთაძე: „აფხაზი ავტორები ასე თავგამოდებით რატომ ცდილობენ ხელოვნურად გაზარდონ თურქეთში გახიზნული აფხაზების რაოდენობა? ეს მათ იმისთვის სჭირდებათ, რათა დაამტკიცონ, რომ აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები (ე. ი. აფსუები! გ. გ.) ცხოვრობდნენ და ისიც დიდი რაოდენობით. ამდენად, სხვებს და მით უმეტეს ქართველებს იქ, მათი აზრით, არაფერი ესაქმებათ" (ა. თოთაძე, დასახელებული შრომა, გვ. 65). მართლაც, ზემოაღნიშნულ სიყალბე სრულიად არ არის შემთხვევითი, ფაქტია მას სპეციალური მიზანი აქვს, — თავდაყირა დადგეს სინამდვილე, მოტყუვდეს და შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

უეჭველია, ისიც, რომ თურქეთში გადასახლებას ტრაგიკული მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ ისეთი მცირე ხალხისთვის, როგორც აფხაზები იყვნენ, არამედ ადიღე-ჩერქეზების, ჩეჩენ-ინგუშების, დაღესტნელებისა და, საერთოდ, მთელი კავკასიის მოსახლეობისათვის. ამ გადასახლებამ გენოციდამდე მიიყვანა: აფსუები, უბიხები, საძჯიქები, შაფსუღები, აბაძეხები, ნატუხაელები და სხვები.

აფხაზებისათვის (განსაკუთრებით აფსუებისათვის) ტრაგიკული იყო აგრეთვე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი, როდესაც უპირატესად თურქებისაგან გატიალდა აფხაზეთის ცენტრალური ნაწილი, სადაც მთელი რიგი სოფლებისაგან მხოლოდ ნანგრევები და ფერფლილა დარჩა (თურქებმა სოხუმიც გადაწვეს).

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებას ამ ომის დროსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ თუ ზოგიერთ აფხაზ მკვლევარს და რიგით ავტორს დავუჯერებთ, აფხაზეთიდან ყველაზე მასობრივ გადასახლებას 1877-1878 წლებში ჰქონდა ადგილი. მაგალითად, გ. ძიძარიას მიერ დამოწმებული გაზ. „გოლოსის" ერთ-ერთი პუბლიკაციის მიხედვით: "По приблизительному счету, в Абхазии, после выселения туземного населения в Турцию, осталось всего около пяти тысяч душ. Положение их в настоящее время в высшей степени печально: проходившие через села войска уничтожили положительно все, что у них было. Они забрали домашную утварь, припасы, одежду, домашный скот и пр..." (Г.А. Дзидзария, указ., соч. с. 368-369.)

**გერონტი გასვიანი**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# შეიძინეთ სამამულო წარმოების მანქანები

უცხოური წარმოების პროდუქციის შეძენა-მოხმარების პროცესი რომ აქტიურად მიმდინარეობს საქართველოში, ამაზე ორი აზრი აღარ არსებობს. სამამულო წარმოების პროდუქციას რომ შიდა ბაზრის იქეთ გზის გაკვალვა უჭირს, ალბათ, არც ეს იწვევს ეჭვს. საბაზრო ეკონომიკის პირობებზე გადასვლამ ბევრ საწარმოს საგულდაგულოდ გამოუხურა კარი საქართველოში. ამ დროიდან მოყოლებული, უცხოური წარმოების პროდუქციის შეძენა-მოხმარების პროცესი თანდათან გაიზარდა, სამამულო წარმოების პროდუქციას კი არათუ უცხოეთის, არამედ შიდა ბაზარზეც კი გაუძნელდა გზის გაკვალვა.

ამ მხრივ ქუთაისის ავტოქარხნის წინსვლა-გამარჯვებანი განსაკუთრებულ სიხარულს უნდა იწვევდეს. მანქანათმშენებლობის დარგი საქართველოში, შეიძლება ითქვას, გაყინულია და ამ ცივ ვაკუუმში აშკარად იგრძნობა ზემოხსენებული ავტოქარხნის დირექციის ბრძოლისუნარიანობა ქარხნის, დარგის გადარჩენისათვის, ამოქმედებისა და გაცოცხლებისათვის.

სსრკ-ს სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებულ ავტომობილებს, რომელსაც ქუთაისის ავტოქარხანა უშვებდა, მაღალი გამავლობა ჰქონდა. ქარხანა მუდმივად ერთი და იგივე სახის ავტომობილებს აწარმოებდა, ყველაფერი განსაზღვრული იყო და ათიათასობით ავტომობილი წინასწარ დაგეგმილ მომხმარებელს ეგზავნებოდა. საბაზრო ეკონომიკამ კონკურენციის ფაქტორი წამოწია წინ და განსაზღვრული კურსით მიმავალ ქარხანას, ისევე, როგორც ყველა მეწარმეს, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემაც გაუჩნდა.

ქარხნის დირექციამ ახალ ცხოვრებასაც აუწყო ფეხი.

**— ჩვენ ავტომობილების ნომენკლატურა ძალიან გავაფართოეთ, შევქმენით, როგორც ცალკეული საბაზრო მოდელების მოდიფიკაციები, ისე ახალი საბაზრო მოდელი,** — გვითხრა ქარხნის ტექნიკურმა დირექტორმა **ბადრი სიხარულიძემ.**

ექსპორტის საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქარხნის დირექცია. კარგად ესმით, რომ ექსპორტი ერთ-დაერთი წყაროა ფინანსების დროული და საჭირო რაოდენობით მოზიდვისა, თორემ დსთ-ს ქვეყნებში ნებისმიერი ეკონომიკური ურთიერთობა ნაწილობრივ მაინც, თუ სულ არა, ბარტერულ გაცვლასთანაა დაკავშირებული. ბარტერული გაცვლა კი, მოგეხსენებათ, საწარმოს განვითარებას ვერ უზრუნველყოფს, საჭიროა ფინანსები.

რესპუბლიკის შიგა მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც ვცდილობთ, ვამზადებთ მანქანათმშენებლობის დარგის დეტალებს და კვანძებს, რომლებსაც გვიკვეთავენ რკინიგზის დეპარტამენტიდან, საქენერგოდან, მეტროპოლიტენის სამმართველოდან, წყალკანალიდან თუ თბილსრესიდან. ამ შეკვეთათა შესრულება სპეციალიზებულ დანადგარებს, კომპლექსურ სიმძლავრეებს საჭიროებს. ჩვენი საავტომობილო ქარხანა ერთადერთია რესპუბლიკაში, რომელსაც ასეთი კომპლექსური სიმძლავრეები გააჩნია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნებისმიერი სირთულის და სახის მანქანათმშენებლობის პროფილის პროდუქცია შეგვიძლია დავამზადოთ, — გვითხრეს ქარხნის დირექციაში.



### ღია კარი შუა აზიაში

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, ძალზე მნიშვნელოვან საკითხად ეჩვენებათ ქარხანაში დსთ-ს ბაზრის აღდგენა და იქ თავიანთი ადგილის მოძებნა. ამ მხრივ ჯერჯერობით კარი შუა აზიისკენ გაიხსნა. საიმედო გამოდგა უზბეკეთის ბაზარი. უზბეკეთი - დიდი ოდენობით ბამბას აწარმოებს, საქართველოში კი მათი მოთხოვნის შესაბამისად პირველი ბამბამზიდი ავტომობილებიც დაამზადეს.

საგამოცდო ნიმუშები და პირველი პარტიები ქარხანამ უკვე გამოუშვა და აგვისტო-სექტემბრის თვიდან, ალბათ, მისი რეგულარული მიწოდებაც დაიწყება უზბეკეთის რესპუბლიკაში. ქარხანაში გვითხრეს, რომ მისი გენერალური დირექტორი **ამირან ნაცვლიშვილი** ტაშკენტში იმყოფება პროდუქციის მიწოდების ძირითადი საკითხების დაზუსტების მიზნით. შეიძლება ითქვას, უზბეკეთთან ურთიერთობა ქარხნის ხელახალი აღორძინების დასაწყისია.

### ექსპორტი — საწარმოს განვითარების ძირითადი წყარო

უზბეკეთთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობები სიახლეა. უცხოეთის ბაზართან ურთიერთობა კი ქუთაისის ავტოქარხნისათვის უკვე ძველი, ჩვეულებრივი ამბავია. ქარხანაში ცდილობენ, სიმძლავრეთა დატვირთვა მაქსიმალურად გარე შეკვეთებით უზრუნველყონ. იტალიის რამდენიმე ფირმას (პრამაფლიფტერი, პრამაფ-ევროპეა, ფანტუცი, პლასტ-იტალია, ტრადინგი) მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რამდენიმე წელია მანქანათმშენებლობის პროდუქციის ცალკეულ დეტალებს აწვდიან, ხოლო წელს აქვე, ქარხანაში, ამოქმედებული იტალია-საქართველოს ერთობლივი საწარმო „იგს" ზემტკიცე თუჯს უშვებს.

მოკლედ, ექსპორტის საერთო მოცულობა 1998 წელს, დაახლოებით, 2 მლნ აშშ დოლარამდეა. საპროგნოზოდ, დღეს მიღწეული ტემპი თვეში საშუალოდ 200 ათასი აშშ დოლარია, — ამბობს წარმოების დირექტორი ბატონი **რომან ცხვედიანი.**

### უახლესი პერსპექტივა

ექსპერიმენტალურ საამქროში ავტომობილის ნიმუში იგეგმება, რომელშიც გერმანული ავტოკომპანია „მანის" დიზელის ძრავს ჩადგამენ.

ასე რომ, ქუთაისის ავტოქარხნის წარმოებულ ავტომობილებს თვითმცლელ ავტომატარებელ კაზ-4540-01, მაღალი გამავლობის სატვირთო კაზ-43401, სატვირთო კაზ-4360, მაღალი გამავლობის სატვირთო 6000 ლ მოცულობის ცისტერნით და ნაგავმზიდს სულ მალე მცირე სატვირთო (1,5-2 ტ ტვირთამწეობის) ავტომობილი და ავტობუსიც მიემატება, თუმცა ჯერჯერობით, მხოლოდ ნიმუშებზე მუშაობენ.

ახალი საბაზრო მოდელების შექმნა საშუალებას მოგვცემს მინიმალურ ფასებში შევიძინოთ სამამულო წარმოების ავტომობილები და მათი უცხოეთში „ძებნაც" აღარ დაგვჭირდება.

**მანანა ლობჟანიძე**
**ნანა ქველაია**

საქართველო

# პოლონელი ისტორიკოსისა და მოგზაურის იან პოტოცკის ცნობები საქართველოზე

XVIII ს. პოლონელმა ისტორიკოსმა და მოგზაურმა იან პოტოცკიმ იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში — თურქეთში, ეგვიპტეში, მაროკოში, რუსეთში, მონღოლეთში და ა. შ. მოგზაურობისას იგი აკეთებდა ჩანაწერებს, რომელიც შემდგომ პერიოდში დღიურების სახით გამოიცა. ამ ჩანაწერების წყალობით დღეს ვეცნობით მრავალ ისეთ ფაქტს, მოვლენას, რომლებიც სხვა ისტორიკოსებსა და მოგზაურებს არ შემოუნახავთ.

სამწუხაროდ, ი. პოტოცკი საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ საკმაო ხნის მანძილზე იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში (1797 წელსა და 1818 წლის პირველ ნახევარში) და აქ მრავალი უაღრესად საინტერესო ცნობა ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის შესახებაც.

ვფიქრობთ ი. პოტოცკის დღიურების იმ ადგილებს, რომლებიც საქართველოს ეხება, ინტერესით გაეცნობა მკითხველი. დღიურები 1959 წელს გამოსცა ვარშავის გამომცემლობა „CRYTELNIK"-მა. ამ წყაროზე მითითებისა და წიგნის ჩვენთვის გადმოცემისათვის დიდ მადლობას ვუხდით პოლონეთის დესპანს საქართველოში ბ-ნ პეტრე ბორავსკის.

მთარგმნელი

### თავი III*
### ასტრახანში ჩასვლა

აგერ უკვე მრავალი წელია, რაც მე უდიდესი სიამოვნებით ვმუშაობ შუა აზიის ხალხების წარმოშობისა და გენეზისის საკითხებზე. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩემი გონების დაძაბვისა და ერთი და იგივე საკითხის შესწავლისადმი მრავალგზის დაბრუნებისა, მაინც თავი ვერ გავართვი ამ ხალხების ერთმანეთისაგან გარჩევას; თუმცა მე ისინი ჩემს წიგნებში სათანადოდ დავაჯგუფე, მაგრამ მაინც ძალიან გამიჭირდა მათი ჩემს წარმოსახვაში მოწესრიგება. აქ კი, ასტრახანში, აქაური ვაჭრების დახმარებით, ყველაფერმა ამან გარკვეული სახე მიიღო. როდესაც ვაჭართა შორის ვარ, სხვადასხვა ავტორთა ცნობები გონებაში რიგრიგობით ამოტივტივდებიან ხოლმე და მეც მეხსიერების დიდი დაძაბვის გარეშე შემიძლია მათი სისტემატიზაცია, ეს კი ამჟამად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, როდესაც ჩემი კვლევების საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად ვემზადები.

ამ თავში განზრახული მაქვს დავხატო იმ ხალხების ზოგადი სახე, რომლებიც ასტრახანში ჩამოდიან სავაჭროდ, დაწყებული ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიდან. პირველ ეთნიკურ ჯგუფს, რომელთაც აქ შეხვდები, წარმოადგენენ კონდურები. მათი ზოგადი სახელწოდებაა ნოღაიელები. ისინი ცხოვრობენ წითელ ხეობაში და მანამდე ემორჩილებოდნენ ტორგუელ ყალმუხებს, ვიდრე ეს უკანასკნელნი ჩინეთში არ გადასახლდნენ. ამჟამად ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან რუსთ ხელმწიფეს.

ურალის იქითა მხარეს მომთაბარეობს ყირგიზთა სამი ტომი, რომლებიც თურქმენების შემდეგ ყველაზე საშიში ხალხია, როგორებიც კი შესაძლოა აზიაში ცხოვრობდნენ. ყველა ეს ხალხი ექვემდებარება რუსეთს, მაგრამ ავანტიურისტი ყირგიზები, მარტოდმარტო ორი თავისუფალი ცხენით, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გადადიან ვოლგას და იტაცებენ ამ ქვეყნის ქვეშევრდომებს, რომელთაც შემდეგ ხივაში ჰყიდიან. რუსებიც იქცევიან პრინციპით თვალი თვალის წილ: მათ ამჟამად ასტრახანში ოცდაათამდე დატყვევებული ყირგიზი მაინც ჰყავთ გასაყიდად. მე ვნახე ეს ადამიანები, რომელთაც უფრო წაგრძელებული სახეები აქვს, ვიდრე ბრტყელი და იკავებენ რაღაც შუალედური მდგომარეობას თათრებსა და ყალმუხებს შორის. ამასთან, ყირგიზები გაცილებით მაღალნი და უფრო დაკუნთულნი არიან, ვიდრე ყალმუხები.

ხიველი თათრები არ არიან მომთაბარე ხალხი. ისინი სოფლად ცხოვრობენ, თუმცა თავისი დედაქალაქიც აქვთ. მათ მთავარ ქალაქში ხის სახლები დგას, რომლებიც შიგნიდან კარგად არის შელესილი და ლამაზად მოხატული, ხივის ხანი სამუდამო პატიმრობაშია საკუთარ სასახლეში და ქვეყანას მხოლოდ მისი სახელით მართავენ. როდესაც ხანის ქვეშევრდომები მისი მმართველობით უკმაყოფილონი დარჩებიან, მას აგზავნიან ბუხარაში და მის ნაცვლად იქიდან სხვის გამოგზავნას ითხოვენ.. ურგენჩი წარმოადგენს ხივას [illegible]ქვემდებარებულ ქალაქს, სამაგიეროდ ტაშკენტს დამოუკიდებელი ხანი ჰყავს.

ყირგიზებს თავიანთი ფხიანობის წყალობით ხივაში თითქმის ყოველ სახლში ერთი ან ორი რუსი მონა ჰყავთ; ტყვე-რუსებს შეუძლიათ ყოველ წუთს მოიპოვონ თავისუფლება, თუ გამაჰმადიანდებიან. სჩანს, მრავალი მათგანი მართლაც ასე იქცევა, ხოლო შემდეგ ქორწინების შედეგად ისინი ერევიან იმ ხალხში, რომლებიც ადგილობრივ ხელოსანთა კლასს ჰქმნიან. ეს წვრილმანები მე შევიტყვე ერთი რუსისაგან, რომელიც ხივაში ტყვედ ჰყავდათ ბოლო ოცი წლის განმავლობაში. აქ ყოველთვის შეიძლება შეხვდეთ რუს ვაჭრებს, რომლებიც მანგიშლაკიდან გემებით უშიშრად ბრუნდებიან რუსეთში. ისინი აქ იმდენად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, რომ სისტემატიურად არღვევენ ადამიანთა უფლებებს, მისდევენ რუსი ტყვეებით ვაჭრობას და მხარს უჭერენ ყირგიზების ძარცვას. ისინი უფრო უარესადაც იქცევიან ხშირად რუს ტყვეებს ცვლიან თურქმენების მიერ მოტაცებულ სპარსელებზე, და მაშინ უკვე ყოველგვარი ჩივილი და გამოსასყიდი უშედეგოა. აქ მრავალი ასეთი ვაჭარი ვნახე: ისინი უჩვეულოდ ხარბი და უხეში ადამიანების შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ბუხარა მთელი თურქესტანისათვის სანიმუშო ქალაქს წარმოადგენს. ბუხარის ხანი დროდადრო სამარყანდაში იმყოფება. ბოლო ხანს მან პეტერბურგში გაგზავნა თავისი ელჩი საჩუქრებით დატვირთული სპილოთი. მე მითხრეს, რომ ხანს სამსახურში მრავალი რუსი ჰყავს, რომელთაც მას არტილერია შეუქმნეს. უფრო მეტიც, იგი თავის ხელისუფლებას ინარჩუნებს თეოკრატიული მეთოდებით და სიტყვას ყოველთვის ბუჩანის სახელით წარმოთქვამს. თავად ხანი უზბეკია, თემურლენგის შთამომავალი, მაგრამ ქალაქის მკვიდრნი ტაჯიკები არიან, როგორც უწინ, ახლაც მათ უპყრიათ ხელში მთელი შუა აზიის ვაჭრობა. აქ ჩინური საქონელი ჩამოაქვთ კაშგარიდან, ინდური — მულტანიდან, ხოლო რუსული — ორენბურგიდან.



თურქმენები კასპიის ზღვის ნაპირებზე ცხოვრობენ მანგიშლაკიდან ასტრაბადამდე. მათი სამფლობელო კიდევ უფრო შორსაა გადაჭიმული და შეჭრილია ხორასანსა და მაზანდარანს შორის. მათ შეუძლიათ გამოიყვანონ ოცდაათი ათასი მხედარი. ისინიც მისდევენ მომთაბარე ცხოვრებას ყირგიზთა მსგავსად. თუმცა მათ მთავარ საქმიანობას ძარცვა-გლეჯა წარმოადგენს, ზოგჯერ ვაჭრობასაც ეწევიან მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე, სადაც საქონელს რუს მეზღვაურებზე ჰყიდიან. ეს მეზღვაურები ვერ ბედავენ მიატოვონ გემი და გადმოვიდნენ ნაპირზე, ვიდრე მძევლებს არ აიყვანენ, მაგრამ ამგვარი წესების დაცვაც ხშირად ვერ იფარავს მათ საფრთხისაგან. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თურქმენთა ქვეყანაში მოგზაურობა ძალზე სარისკო წამოწყებაა. საბედნიეროდ, მრავალი თურქმენი დასახლდა რუსეთში და მათგან ბევრი ცნობის მიღება შეიძლება ამ ხალხის შესახებ.

ხორასანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს ყანდაჰარი, სადაც ავღანები ბატონობენ. მათი მეფეა ზამან-შაჰი. შაჰის ტიტული მეფის ტიტულს შეესაბამება. ჯერჯერობით ვერცერთმა ნადირ-შაჰის მემკვიდრე სპარსელმა ვერ გაბედა ამ ტიტულის მოპოვება. ამბობენ, რომ ავღანების, ამ ძლიერი და ენერგიული ხალხის, ბატონს აქვს ამ ტიტულისადმი შედარებით მეტი უფლებები, ვინაიდან მემკვიდრეობა, რომელიც გახდებოდა შაჰ-ნადირის ტახტის ურყეობის გარანტია, უფრო მეტად ეკუთვნის ზამანის გვარს, ვიდრე სპარსეთის ხანების საგვარეულოს. უფრო მეტიც, ბოლო დროს ავღანებმა მრავალი მნიშვნელოვანი დაპყრობა განახორციელეს. როგორც მე მითხრეს, მათ დაიპყრეს არა მხოლოდ ბევრი მიწა ინდოეთში, არამედ კაშმირის განთქმული სამეფოც, სადაც მშვენიერი შალი მზადდებოდა, რომელიც ევროპის მრავალი ქვეყნის მანდილოსნების ოცნების საგანი გამხდარა. ამჟამად ასტრახანში იმყოფება ავღანელი თავადი, საქართველოს მეფის ერეკლეს მიერ დატყვევებული ასსად-ხანის ვაჟი, მაგრამ ამ თავადმა მთელი თავისი სიცოცხლე სპარსეთში გაატარა და სრულიადაც არ იცნობს საკუთარ სამშობლოს...

ასტრახანში მცხოვრები ინდოელები წარმოშობით ძირითადად მულტანიდან არიან და ავღანელებს ემორჩილებიან. მათი დასახლება სულ სამოცდათხუთმეტ ადამიანს მოითვლის. მათ თავისთან ჰყავთ ბრამინი, მომნანიებელი ცოდვილები და აქვთ განგის წყალი, როგორც ამას მოითხოვს მათი რელიგია...

სპარსელი ვაჭრები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ინდოელები. თითქმის ორასამდე დავითვალე, როდესაც წმინდა ჰუსეინის ზეიმზე მორთულები შეიკრიბნენ ქარავანსარაიში. შენობა განათებული იყო მრავალი ჩინელი მხატვრის მიერ მოხატული ფარანით. დღესასწაული რამდენიმე დღის მანძილზე გრძელდებოდა.

მასზე წარმოდგენილი იყო დრამატული ხასიათის სპექტაკლები, რომლის ყურებისას სპარსელებს თვალებიდან ცრემლი სდიოდათ და ყველანი ვწყევლიდით მტარვალ ომარს:** სპარსელები იმიტომ, რომ ჰუსეინის ოჯახს მტრობდა, მე კი იმიტომ, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა გადაწვა.

სპარსელების ისტორიის, ენისა და წარმოშობის კვლევა-ძიება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა... განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გავიცანი მასწავლებელი, რომელსაც შეეძლო ჩემთვის ეხელმძღვანელა თანამედროვე ხალხებისა და ენების შესწავლის რთულ გზაზე; ეს მასწავლებელი იყო აბას-ხანი, რომელიც გამოირჩეოდა როგორც თავისი გონებრივი გამჭრიახობით, ისე კეთილშობილი გულით. თავის დროზე ალა-მაჰმად ხანმა მას სათანადო ყურადღება მიაპყრო და დანიშნა ჯერ ისპაჰანის, ხოლო შემდეგ გილანის დიდ ვეზირად. მუსტაფა-ყული ხანმა დაატყვევა იგი გილანში და რუსეთში ჩამოიყვანა, როგორც მძევალი, რათა ამ გზით უზრუნველეყო თავისი ოჯახის უსაფრთხოება, რომელიც მისი ძმის ხელქვეით რჩებოდა...

როდესაც ასტრახანში ჩავედი, რუსეთის სამეფო კარმა ბრძანება გასცა აბას-ხანისათვის თავისუფლება მიენიჭებინათ. მას სწადდა დაბრუნებოდა თავის ძველ მბრძანებელს და ჩემი თან წაყვანა სურდა; მაგრამ უეცრად შევიტყვეთ, რომ ალა-მაჰმად-ხანი თავისმა საკუთარმა მონებმა მოკლეს. ეს ამბავი აბას-ხანისათვის ისეთივე თავზარდამცემი იყო, როგორც მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე. იგი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ცოტა ვინმე თუ მოინახულებდა მას, იქნებ იმიტომ, რომ მუსტაფასათვის არ ეწყენინებინათ. ძალზე მიკვირდა, რომ ასეთი ძლიერი ხასიათის ადამიანს ასე დასწყვიტა გული მტარვალის სიკვდილმა. მაგრამ, ჯერ ერთი, აბას-ხანი ალა-მაჰმად-ხანის ნდობით სარგებლობდა და მეორეც, სპარსელებს მტარვალობა ხელისუფალთა პრივილეგიად მიაჩნიათ. ისინი ფიქრობენ, რომ მტარვალობის გარეშე სპარსეთის მართვა შეუძლებელია და ტირანია ანარქიისაგან თავის დაღწევის საშუალებად მიაჩნიათ. გარდა ამისა, ადამიანებმაც დიდად ავნეს ალა-მაჰმად-ხანს: ბავშვობისას მამამისის ერთ-ერთმა მტერმა იგი დაასაჭურისა. მოჰამედი შემდეგ დატყვევებული იყო ქერიმ-ხანის კარზე, სადაც მას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა სპარსული პოლიტიკის მთელ საიდუმლოებას. ბოლოს, გამოიყენა რა ხელსაყრელი შემთხვევა, რათა გამოეყენებინა თავისი უნარი უბედური პედაიეტ-ხანის წინააღმდეგ და რადგანაც მისი გამკლავება ვერავინ შესძლო, თითქმის ათი წლის განმავლობაში ბატონობდა მთელს სპარსეთში. მისი მისწრაფების საგანი იყო ხელთ ეგდო შაჰის ტიტული. იგი მიისწრაფვოდა დაემორჩილებინა კავკასიისა და ხორაზმის მმართველები, რათა შემდეგ დაედგა თავს ნადირ-შაჰის გვირგვინი. სიკვდილმა წერტილი დაუსვა მის ამბიციებს. სპარსეთი კვლავ ანარქიამ მოიცვა...

### 4 ოქტომბერი (1797 წ.)

ალბათ ძნელია უფრო უკეთესი ადგილის პოვნა, რათა შეიქმნა შეხედულება ავართა ტომის შესახებ. ჩემი მასპინძელი ხომ ხშირად უგზავნის მათ საქონელს. ბოლო დროს უმა ხანმა, ამ ტომის ბელადმა, მას სთხოვა ისეთი საათი, რომელიც დროდადრო რეკავს. ამის მსგავსი ხუნძახში, ავართა დედაქალაქში, სადაც ათასამდე სახლი დგას, არავის არაფერი უნახავს. ხანის წერილი ჩემი მასპინძლისადმი დაწერილი იყო ქართულად მისი ერთ-ერთი ცოლის, ქართველი თავადის ასულის მიერ, რომელიც საკუთრივ მან აღზარდა. ჩემი მასპინძელი ნამყოფი გახლდათ ხუნძახში და ყველაფერს მომიყვა მის შესახებ იქაურ სომეხთა თანდასწრებით, რომლებიც ასევე იცნობენ ავართა დედაქალაქს.

### 9 ოქტომბერი (1797 წ.)

ჩემს დღიურში დღევანდელი დღე ალბათ ყველაზე ლამაზ დღედ ჩაითვლება: თითქმის სრულიად დავრწმუნდი, რომ ალანები არსებობენ თავიანთი ენით, დასახელებით, და შესაძლოა წეს-ჩვეულებითაც. ამ კეთილ ცნობას უნდა ვუმადლოდე დავითს. იგი არის ერისთავი (ანუ თავადი), მართავს იმერეთში. იგი თავისი მეფის მიერ გაგზავნილი იყო ელჩად ქართლის მეფესთან და ოსებმა მოიტაცეს და დატყვევებული [illegible] წელი, ხოლო შემდეგ იგი რუსეთში ჩამოვიდა. იმერეთის მეფე გახლავთ სოლომონი, წინა მეფე, ასევე სოლომონი, რომელსაც ხშირად ახსენებენ, ევროპაში, თოთხმეტი წლის წინათ გარდაიცვალა. მას ტახტის მემკვიდრედ დარჩა ძმის შვილი, მეფე დავითი, რომლის მემკვიდრესაც ასევე სოლომონი ჰქვია. მათი ქვეყნის დედაქალაქი უწინდებურად ქუთაისია, ხოლო მეფის, ანუ ხელმწიფის გვირგვინი ინახება გელათის მონასტერში.

სამეგრელოს მართავს, ისევე როგორც ადრე, ერისთავი. მეგრული ენა განსხვავდება ქართულისაგან. ერისთავი არის ტიტული და არა გვარი...

### 13 ოქტომბერი (1797 წ.)

ქართველ მღვდელს, რომელიც მე მესტუმრა, განზრახული აქვს აღადგინოს სპარსელების მიერ დანგრეული თავისი ეკლესია. ჩემგან მოწყალების მიღების შემდეგ, ხელები ცისკენ აღაპყრო და იწყო ჩემი, ჩემი ოჯახისა და ჩემი შთამომავლობის დალოცვა. მას ლოცვისას ცრემლები სცვიოდა, ხოლო მისი სიტყვები გულის სიღრმიდან მოდიოდა. მღვდლის საქციელი ისე შეეფერებოდა მის ღირსეულსა და პატრიარქულ გარეგნობას, რომ შემიძლია ვთქვა, აქამდე არასოდეს გავმხდარვარ მოწმე ასეთი შთამბეჭდავი სურათისა. ეს მოხუცი მღვდელი ადრე, დედოფალ ეკატერინას ხელმწიფობის დროს, რუსეთში ყოფილა მეფე ერეკლეს ელჩობაში.

### 14 ოქტომბერი (1797 წ.)

აი, როგორი ახალი ამბავი მოიტანეს კავკასიიდან შიხ ალი-ხანის ელჩებმა: ამ ბატონის ძმა კვლავ ტაბასურანში იმყოფება, მაგრამ აკუშას რესპუბლიკას სურს შუამავლობა გასწიოს ორ მტერს შორის, იმ პირობით, რომ შაიხ ალი დარჩება დერბენტის ხანად, ხოლო მისი ძმა ჰასან-ხანი მიიღებს ხელისუფლებას კუბაში.

ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის წინ ავართა ხანი, რომელმაც კავშირი დაამყარა ჭარის რესპუბლიკასთან, შეეცადა შეჭრილიყო კახეთში, მაგრამ ქართველებმა მოიგერიეს თავდასხმა და წაართვეს ჭარის რესპუბლიკის მოსახლეობას ათასამდე ხარ-კამეჩი.

სპარსეთში ბაბა-ხანი ცდილობს მოიპოვოს უმაღლესი ხელისუფლება, მაგრამ მას ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს სადიკ-ხანის სახით.

### 26 ოქტომბერი (1797 წ.)

ჩეჩნები მოვიდნენ ტყვეთა გასაცვლელად. მათგან გავიგე, რომ მათ მართლაც ესმით ინგუშებისა და ყარაბულაკების ენა, მაგრამ მეგობრულად არ ცხოვრობენ მათთან, რადგან ეს ხალხები სხვა რელიგიას აღიარებენ და კლდეებს სცემენ თაყვანს.

პავლე კალუსტოვმა მითხრა, რომ, როდესაც ერთხელ იმყოფებოდა ენდერის წყლებთან, რომელილაც ინგუშმა თავისი ქვეყნიდან გასაყიდად ქალიშვილი მოიყვანა. ერთი ურია დაეთანხმა მას გადაეხადა მასში ორას ორმოცი რუბლი სპარსული ქსოვილით. როდესაც გამყიდველი მყიდველთან ერთად წავიდა საქონლის მისაღებად, ქალიშვილმა იქ მყოფ რამდენიმე ჩეჩენს მიმართა:

— იცოდეთ, რომ საწყალი ობოლი გოგო ვარ, რომელსაც ყველას შეუძლია მიაყენოს შეურაცხყოფა. კაცი, რომელმაც მე აქ მომიყვანა, შემპირდა, რომ შემირთავდა. მაგრამ პირობის შესრულების ნაცვლად მყიდის. სურდა ჩემს სანაცვლოდ ტანსაცმელი ეშოვნა, მაგრამ ვერასდროს ვერ ელირსება მას.

შემდეგ ბაღში წავიდა და თავი ჩამოიხრჩო ხეზე. უკვე დიდი ხანია ვიცი, რომ ძალზე ძნელია ინგუშის დატყვევება. ბევრი მათგანი ამჯობინებს სიცოცხლე მოისწრაფოს, ვიდრე უცხო მამაკაცის ხვედრი გახდეს.

კავკასიიდან მოვიდა ახალი ამბავი, რომ ავარიის ხანი ჭარში იმყოფება ოთხიათასიანი არმიით და განზრახული აქვს საქართველოში შეჭრა, მაგრამ ქართველები ფხიზლობენ და მზად არიან თავდასხმის ალსაკვეთად.

**ამბროსი გრიშიკაშვილი**

***ვთხოვთ, სპეციალისტებს მოგვაწოდონ თავიანთი კომენტარი იმ ადგილების შესახებ თარგმანიდან, სადაც საქართველოზე, ალანებზე და აფხაზებზეა ლაპარაკი***

გაგრძელება შემდეგ ნომერში

---

* დღიურში ამ ჩანაწერს თარიღი არ აქვს მითითებული. იგი მოთავსებულია 1797 წლის 9 ივნისისა და 13 სექტემბრის ჩანაწერებს შორის.

** ომარ იბნ ასი (გარდაიც. 664 წ.) — არაბთა ბელადი, რომელმაც მხარი დაუჭირა მოავიის მისწრაფებას ხალიფატის ხელში ჩასაგდებად. იგი გაუძღვა არაბთა ჯარებს და 641 წელს დაიპყრო ალექსანდრია და, გადმოცემის თანახმად, ბრძანება გასცა ცნობილი ბიბლიოთეკის გადაწვის შესახებ. სინამდვილეში ეს ბიბლიოთეკა გაცილებით ადრე დაიწვა.

ბიბლიოთეკა

ხმა ხალხიდან

# რატომ აირჩია ხალხმა უღირსი მთავრობა



მას შემდეგ, რაც გადაყენებული იქნა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ექვსნახევარმა წელმა განვლო. დამხობილის ადგილზე მოსული უკეთესი რომ ყოფილიყო, დღეს ასეთი ვითარება არ იქნებოდა საქართველოში. განვლილი დრო სრულიად საკმარისი იყო სწორ გზაზე გასასვლელად. გამოდის, რომ მთავრობა, რომელიც მოვიდა დამხობილის ადგილზე, არაფრით ყოფილა უკეთესი დამხობილზე. ძალაუნებურად ისმის კითხვა: რატომ აირჩია ხალხმა უღირსი მთავრობა? უკანასკნელი არჩევნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმ ცამეტი კანდიდატიდან არცერთს არ შეეძლო გამოეყვანა ქვეყანა ქაოსიდან. ღირსეული, ნორმალური ადამიანი მიიმალა, რადგან შერცხვენას მოერიდა. ისე ჰქონდა დალაგებული კარტი „მსოფლიო პოლიტიკოსს", ფინალზე აუცილებლად ის უნდა გასულიყო. ხალხს კი მერამდენედ მოეჭრა თავი, რადგან ხმა უღირსებს მისცა.

დავუშვათ, რომ დავით მეოთხის ღირსების მქონე, ზუსტად მისი ასლი ბუნებას ხელმორედ მოევლინა 850 წლის შემდეგ. ისიც ქვეყნის ყველაზე მივარდნილ ადგილას ულატაკესი გლეხის ოჯახში. თან ათი წლის ბავშვს (მამით ობოლს), არავინ ყავდა რჩევის მიმცემი, თანაც დაბალი დონის გარემოცვა.

ცხადია, სკოლის გარეშე არ დარჩებოდა რვა წლის დავითი, რადგან 1931 წელს სკოლა, შვიდწლედი მაინც, ყველგან იყო. ისიც უეჭველია, რომ ხუთოსანი იქნებოდა, მაგრამ სკოლის მერხიდანვე ჩაკლავდა თავის თავში პოლიტიკურ გენიას, ვერც მეცნიერებაში მოიკიდებდა ფეხს, ვერც შემოქმედების სფეროში გაბრწყინდებოდა. ესე იგი, დარჩებოდა ყველაფრისმცოდნე ბრძენ, მოაზროვნე ადამიანად. ის არც არსებული მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ვინ, თუ არა დავითი, მიხვდებოდა, რომ ეს წმინდანყლის ნაყვა იქნებოდა.

„გარდაქმნა" დავითს სამოცდაორი წლის ასაკში მოუსწრებდა. მის მიერვე დათრგუნული პოლიტიკური გენია ცხრაკლიტურიდან აუცილებლად გამოვიდოდა.

მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ, რადგან ვაკანტური ადგილები შევსებული დახვდებოდა. ის ვერც პირველ პრეზიდენტს (სკოლის მერხიდან ამხედრებულს) და ვერც მსოფლიოში აღიარებულ პოლიტიკოსს გაუწევდა ღირსეულ მეტოქეობას. მას ქოქოლას დააყრიდნენ: აქამდე სად ბრძანდებოდი, ან რით გამოიჩინე თავიო.

— იმ დავითს კი, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში დაიბადა, ხელის გაუნძრევლად ერგო სამეფო ტახტი. ძალაუფლების გამოყენებას კი შეუდგა დინჯი გონებით ისე, რომ 36 წლის მანძილზე მძიმე მტრულ გარემოცვაში იოტისოდენა შეცდომაც არ დაუშვია. დაშლილი საქართველო გააერთიანა, მეზობლებსაც დაეხმარა, მტერ-მოყვარეს საკადრისი პასუხი გასცა, ქვეყანა აღმავლობის გზაზე გაიყვანა, თანაც გარე სამყაროს არცერთი წარმომადგენელი არ დახმარებია.

ახლაც, ეს დავითი რომ მოქცეულიყო ქვეყნის სათავეში, უეჭველია, მაშინათვე ქვეყანა დაადგებოდა ევროპული განვითარების გზას. შინაურ მტერს თავს არ ამოაყოფინებდა, საქართველო ისევ თითით საჩვენებელი გახდებოდა მსოფლიო ინვესტიციებისა და დახმარების გარეშე: საქართველოს მეორედ დაუდგებოდა აღორძინებისა და აყვავების ხანა. მაგრამ, ვაგლახ, დავითს ვინ მიუშვებდა პირველ ადგილზე.

დიახ, ნამდვილი დავითიც ვერას გახდებოდა მრავალპარტიული არჩევნების მეოხებით. ან გარდაცვლილი პრეზიდენტი მაინც გაიმარჯვებდა, ის უფრო ვერ გადაუკეტავდა გზას მსოფლიო რეკომენდაციის მქონე პოლიტიკოსს, სამწუხაროდ, ისეთ დღეში ვიქნებოდით, როგორშიც ვიმყოფებით ახლა. პოლიტიკურ დარს დავითი ვერ შეცვლიდა. დავითი, ეს უდიდესი პოტენციის მქონე პიროვნება, ჩრდილში დარჩებოდა.

ქართული „დემოკრატიული" მრავალპარტიული არჩევნები მშრალზე დატოვებდა თვით დავით ბრწყინვალესაც. ამის თქმის სრულ უფლებას იძლევა საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

როგორ მოვიქცეთ? ხელგაუნძრევლად ველოდოთ, თუ როგორ გაქრება უძველესი ერი?

დღევანდელი პრეზიდენტი უძლიერესია, როცა საქმე მის პიროვნებას ეხება, ქვეყნის მართვა კი მას ელემენტარულ დონეზეც არ ძალუძს. ეს მან კარგად აჩვენა პირველ ცამეტ წელს სათავეში ყოფნისას, მაგრამ მაშინ ქვეყნის დაშლა მას არ შეეძლო, აფხაზური ექსტრემიზმი კი მის ხელში გაიფურჩქნა. ახლა მის „მიღწევებს" ბრმაც კი ამჩნევს. საქართველოს მხოლოდ მაშინ ეშველება, როცა გონიერებით გამონახავენ საერთო ენას.

**თამარ კონჯარია**

# ცოფი და მისი გამოვლინებანი...

გაზეთ „საქართველოს" 1998 წლის 21 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ა. შალუტაშვილის პასკვილზე, რომელსაც მხოლოდ ამავე წლის 17 ივლისს გავეცანი, მსურს გავცე ასეთი პასუხი:

ა. შალუტაშვილმა და მისმა მეუღლემ, ელისო კოტეტიშვილმა, ჰქონდათ რა სამოთახიანი ბინა (57 კვმ ფართით) კიროვის ქუჩის ათ ნომერში და ამდენად არ საჭიროებდნენ საცხოვრებელ ფართს, ადგნენ და ეს ბინა „ჩააბარეს" და სანაცვლოდ უკანონოდ მიიღეს 4-ოთახიანი ბინა (62 კვმ ფართი) თეატრალურ-სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო სამართველოს უწყებრივ სახლში. რა აზრი ჰქონდა მათთვის მხოლოდ 5 კვ მეტრის ფართით განსხვავებულ ბინაში გადასვლას? ალბათ ის, რომ არცთუ შორეულ მომავალში თავისი ბინიდან გააძევებენ რუს კოჩუბეი-ყაველაშვილს და საკუთარ ბინას შეუერთებენ მისას ისევე, როგორც თავის დროზე ამაზე ოცნებობდა ეროვნული ბანკის მმართველი ნ. კაკულია, რომელმაც 1985 წელს სწორედ ამის გამო დაკარგა თავისი 4 ოთახიანი ბინა, რომელშიც შესახლდა შემდეგ შალუტაშვილი.

და დაიწყო ჩემი, უკრაინელისა და ჩემი ქალიშვილის, ქართველის გაძევების პროცესი. ისინი მართავდნენ „ღრეობებს", რის გამოც ჩემს საძინებელ ოთახში, რომელიც ესაზღვრება მათს ბინას, გაჩერება არ შეიძლებოდა. აკაკუნებდნენ, ხმაურობდნენ, წყალს უშვებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ კონფლიქტში ჩემს გამოწვევას. მათს მსგავს მეზობლებს აქეზებდნენ ჩემს წინააღმდეგ. გამოდიოდა რა მთვრალი ქუჩაში, შალუტაშვილი ჩემი ბინის კარებთან ყრიდა ძვლებს, სადაც მერე მორბოდა მისი ძაღლი და საჭიროებას იქვე იკმაყოფილებდა.

ძაღლი პატრონებზე უფრო ჭკვიანი გამოდგა და მათი ჭკუის სწავლების მიზნით ერთხელაც ელისო კოტეტიშვილი ისე დაკბინა, რომ მას ცოფის საწინააღმდეგო აცრების გაკეთება დასჭირდა, მაგრამ მის ცოფს ამ ნემსებმა ვერ უშველა.

1991 წელს, ისარგებლეს რა ქვეყანაში გამეფებული დაძაბული მდგომარეობით. მათს მსგავს ფაშისტებთან ერთად მათ შეთითხნეს უკანონო აქტი — „დოკუმენტები" და სასამართლოს 1992 წლის 12 დეკემბრის უკანონო დადგენილებით, ა. შალუტაშვილი და მისი მაუღლე, ელისო კოტეტიშვილი ავტომატებითა და ფინური დანებით შეიარაღებულ ადამიანებთან ერთად ბანდიტურად შემოიჭრნენ ჩემს ბინაში, რომელშიც იმ პერიოდში მხოლოდ ჩემი არასრულწლოვანი ქალიშვილი იმყოფებოდა. მათ წაგვართვეს ჯერ კიდევ 1983 წლიდან ჩვენი კუთვნილი სხვენ-მანსარდი და გაძარცვეს იგი.

წაგვართვეს სხვენი, რომელიც მდებარეობს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბინის თავზე, როცა ამ დროს შალუტაშვილის ბინის თავზე მდებარეობს ორი სხვენ-მანსარდი, ტერასა, 2 აივანი (აქვს სარდაფიც).

სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების წინააღმდეგ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ გამოტანილი იქნა ორი პროტესტი, ხოლო 1993 წლის 11 ივნისს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სასამართლოს 1991 წლის უკანონო დადგენილება.

ჩვენს ხარჯზე გამდიდრებული შალუტაშვილ-კოტეტიშვილი მაინც არ გაჩერდნენ და ზოგჯერ მუქარით, ზოგჯერ თავისიანების მხრიდან ზეწოლით, ზოგჯერაც მათსავით მაღალი მდგომარეობის მქონე მეგობრებისა და ზოგჯერაც ქრთამის მეშვეობით ახერხებდნენ ახალი უკანონო აქტ-„დოკუმენტის" შექმნას და 1993 წლის 5 აგვისტოს სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების მიღებასაც, რომელიც ქალაქის სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ გაუქმდა მხოლოდ 1997 წლის 18 სექტემბერს.

შალუტაშვილ-კოტეტიშვილები არაფრის წინაშე იხევენ უკან, — წერენ ჩემზე არარსებულ რაღაცეებს, ტალახში მსვრიან. ამას მოწმობს მათი მორიგი პასკვილი გაზეთ „საქართველოში", მაგრამ ტალახი არ ეკრობა სვეტლანა კოჩუბეი-ყაველაშვილს. ჯანსაღ ჭკუაზე მყოფმა ადამიანებმა დიდი ხანია შეაფასეს მათი საქციელი.

ჩემი საჩივრების კანონიერება, — დამიბრუნონ ჩემი სხვენი, დაამტკიცეს სპეციალისტებმა და იურისტებმა, — რესპუბლიკის პროკურატურიდან, იუსტიციის სამინისტროდან, არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროდან, რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველოდან, მინისტრთა კაბინეტიდან, მერიის იურიდიული სამსახურიდან, პროექტის ექსპერტმა, პრემიერის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, მერიის ხელმძღვანელობამ.

სამი წელია შალუტაშვილი-კოტეტიშვილი არ ცხოვრობს ბინაში, — ბინა ჩემს სხვენთან ერთად მიაქირავეს უცხოელებს და იშოვეს რა ფული, — ყველას ქრთამით აჯილდოებენ, რისი შედეგიცაა ჩემი სხვენის დაბრუნების გაჭიანურებული პროცესი.

მაგრამ ცხოვრება იცვლება. პროფაშისტური ელემენტების ნაცვლად მოდიან პროგრესული ადამიანები, რომლებიც წინ აღუდგნენ ბანდიტებს და მალე მოვა შალუტაშვილი-კოტეტიშვილის მაღალი მდგომარეობის მქონე მეგობრების ბოლოც, რომელთაც არ სურთ იცხოვრონ კანონების მიხედვით და მჯერა, რომ ახლო მომავალში ჩემს სხვენსაც დავიბრუნებ.

**ს. ყაველაშვილი**

**17 ივლისი, 1997წ.**

**რედაქციისაგან:** **თავისუფალი პრესის პრინციპებიდან გამომდინარე, უცვლელად ვბეჭდავთ ს. ყაველაშვილის ამ საპასუხო წერილს, რომლის კომენტირებაც, ჩვენგან, ვფიქრობთ, ზედმეტია.**

# ასეთ სამართალს რა ვუთხრა...

1996 წლის მაისის თვეში, სრულიად ჯანმრთელი გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ქ. ფოთში. რამდენიმე თვის სამსახურის შემდეგ მძიმე დაავადებით მომათავსეს ჯერ ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში, შემდეგ ონკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტში, — შემდეგ სისხლის გადასხმისა და ჰემატოლოგიის სამკურნალო ცენტრში. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებში დავყავი თითქმის წელიწადი. და ბოლოს, განუკურნავი დაავადება. სამხედრო სამედიცინო კომისიამ, ცხადია, უვარგისად მცნო სამხედრო სამსახურისათვის (თუმცა სამსახურის ვადა ამოწურული საკმაო ხნის წინათ იყო) სამხედრო მოწმობა №45 საექსპერტო კომისიამ მცნო (მომცა) მეორე ჯგუფი ინვალიდობისა (პირველი ჯგუფი განსაზღვრეს, მაგრამ ჩემი სურვილი არ იყო) და თეთრზე პირდაპირ შავად სწერია: „დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის პერიოდში".

ეხლა მოხდა, რაც მოხდა: საპენსიო განყოფილებაში განმიცხადეს: „შენ პენსია არ გეკუთვნის, ეგ ტრამვა არ არისო, „დაავადება მივიღე და თანაც განუკურნავი". ეგ უფლებას არ იძლევა პენსიის დანიშვნისათვისო". აი, მაგალითად, დავუშვათ: „რომ იყო სპორტის სახეობაში თანრიგოსანი, სამხედრო ნაწილში ჩატარდა რაიმე სპორტული შეჯიბრი, სირბილის დროს წაიქეცი და მუხლის თავი „გაგეკაწრა". აი, სწორედ ეს იქნება ტრამვა და სრულიად საკმარისი იქნებოდა, შენ რომ მიგელო სამხედრო პენსიაო". როგორი ლოგიკაა, ხომ კარგი კანონები გვაქვს: „ჯარისკაცმა, რომელსაც მუხლის თავი გაეკაწრა, მალამო წაისვა და მეორე დღეს ისევ მწყობრშია და არავითარი კვალი არ ექნება — ეს არის ტრამვა. მხოლოდ მე მთელი სიცოცხლე ლოგინად ჩავარდნილი უნდა ვიყო, არავითარი იმედი არა მაქვს, უნდა ვიყო მშიერ-მწყურვალი და... დასწყევლოს ასეთი კანონი ღმერთმა. მე გამიჩნდა ასეთი მოსაზრება, ღმერთმა ნუ ქნას (თუმცა ესეც გარდუვალია) ომი დაიწყოს აფხაზეთში ან სხვაგან, რა განწყობით წავა ვინმე საომრად. ანდა სულ რომ გავიძახოდით, ვარდიკო ნადიბაიძემ, ქართული ჯარი (არმია) ვერ შექმნაო, ბატონ დავით თევზაძეს ან სამხედრო რომელიმე უწყებას, ან პარლამენტის უშიშროების და თავდაცვის დარგობრივ კომიტეტს, თუ უფიქრიათ მაინც ასეთ „წვრილმან" საკითხებზე, მე და ჩემმა ღმერთმა, წვრილმანია ახალგაზრდა კაცი, მეოთხე კურსის სტუდენტი, ობლად გაზრდილი, ჯანმრთელი, გაგიწვიეს ჩვენს ძლევამოსილ არმიაში, გახდი ხეიბარი და „ჩაოო", დაგიქნიეს ხელი. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, როგორც წესად აქციეს განუკითხაობა, ასევე ჩირად ულირთ ჩემნაირების ბედიც.

**ზურაბ ჭყოიძე**

**ხარაგაული**

## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ:

**საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;**

**მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;**

**ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;**

**შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;**

**ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;**

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. **ავტოტექნიკური ექსპერტი**
3. **საგარეო უწყებათა მომსახურება**
4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე)
5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები)
6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;**
7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
8. **საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული);
9. **ჟურნალისტიკა;**
10. **ისტორია;**
11. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;**
13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი**
14. **ხელოვნებათმცოდნეობა**

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა **ოთხი წელი.**

**საბუთები მიიღება** 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

**საბუთები** — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80%-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

**უმაღლეს დამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.**

**საბუთები** — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია **საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ლეო ჩიქავა.**

**შენიშვნა:** ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტი-ეკონომისტი, ჟურნალისტი-უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით, ტელეჟურნალისტი, რადიოჟურნალისტი და საგაზეთო საქმე.

სტუდენტები ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბაზაზე. ტელე-რადიოჟურნალისტიკის შესაბამის ტელე-რადიოკორპორაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.

---

ნამდვილ კაცს, ღირსეულ მეგობარს, სასიქადულო მამულიშვილსა და შესანიშნავ ოჯახის მამას, როლანდ (ჯოტი) გელენავას ვულოცავთ დაბადების დღეს. ძვირფასო ჯოტი! გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერ ცხოვრებას შენს საყვარელ მეუღლესა და შვილებთან ერთად.

*შენი მეგობრები*

*სერგო ჯანაშია, მურთაზ ჩიქოვანი, ავთო შუბლაძე, ნოე ჯოხარიძე ვახტანგ ჩხაპელია, ონერი გაგუა.*

---

## თბილისის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კოლეჯი
## (ყოფილი ტოპოგრაფიული ტექნიკუმი)



**აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას** ახალი სასწავლო წლისათვის, კოლეჯი ამზადებს აეროფოტოგეოდეზიისა, საინჟინრო გეოდეზიისა და კადასტრის სპეციალისტებს უმცროსი ინჟინრის კვალიფიკაციით.

კოლეჯში მიიღებიან, როგორც სრული, ასევე არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

კოლეჯში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა.

კურსდამთავრებულებს სპეციალობასთან ერთად ენიჭებათ ოფიცრის წოდება.

მისაღები გამოცდები ჩატარდება მათემატიკაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

საბუთების მიღება წარმოებს 1 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი №25.

ტელეფონი: 22-30-33.

*კოლეჯის დირექცია.*

---

## კროსვორდი



თარაზულად: [illegible] სალებავ[illegible]ანი სანთელი იატაკის გასაპრიალებლად; 6. ცხული ქვეყნების შხამიანი გველი; 7. რბილი, თეთრი მინერალი; 9. ფართობის საზომი ერთეული ჩინეთში; 10. ჰაერნაოსანი; 11. სივრცე დედამიწის ზემოთ; 14. პატარა დროშა; 15. სუსტი ქარი; 16. სპორტული შეჯიბრის მსაჯი; 19. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 20. წყლის ხელოვნური სადინარი; 21. სპორტული ელასტიური შარვალი; 24. მისნობა, ჯადოქრობა; 27. ძველ ეგვიპტელთა უზენაესი ღმერთი; 28. ვაზის მავნებელი მწერი; 29. წყლის მოსაპოვებელი ორმო; 32. არაქათი, ღონე; 33. პურის საცხობი; 34. ებრაელთა მამამთავარი.

შვეულად: 1. არაბული ტომის ქართველი წმინდანი; 2. ყველა ფიზიკური სხეულის შემადგენელი ნივთიერება; 3. ეტაპებისაგან შემდგარი სპორტული შეჯიბრი; 4. უფერო თხევადი ქიმიური ნივთიერება, სპეციფიური სუნით, უმარტივესი კეტონი; 5. კედლის ჭალი; 6. მავნე ფეხსახსრიანი მწერი; 8. ქარაგმული მოთხრობა; 12. რისამე აღსრულების თავდები; 13. დაცვის მიზნით რისამე გადაადგილებისას თანმხლები სამხედრო რაზმი; 17. მდიდარი შუაზიელი მამაკაცი; 18. მარტოხელა ბიჭი; 21. სარწმუნოება; 22. თვალის ინფექციური დაავადება; 23. მხარე ლიხს იქეთ; 24. პატარა ტომარა; 26. ლობეზე გადასასვლელი; 30. ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში; 31. რისამე გავრცელების ფარგლები.

---



კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, თბილისის კოლორიტი, ვაჟკაცობისა და პატიოსნების ეტალონი, ძვირფასი მეუღლე, კარგი მამიკო და საყვარელი ბაბუკა, იმედიანი და უღალატო მეგობარი, ნამდვილი კაცი —

**გურამ დავითის ძე აროშიძე**

დააკლდა თბილისს.

**გამოსვენება 28 ივლისს, 15[00] საათზე**
**მისამართი: თბილისი, თ. აბაკელიას ქ. №13.**

---

ნუგზარი და ეთერ კოზოლაშვილები, უშანგი, ჟენია, მურადი და ზურიკო ტაბატაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ **გოჩა მერაბიშვილის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---


1. რუსეთ-ავსტრალიის კორპორაცია „ჰანიმექსის" თბილისის სააგენტო გიწვევთ ტურისტულ და ბიზნესტურებში ავსტრალიასა და ოკეანის ქვეყნებში. ტელ. 98-53-95

2. დეზერტირების ბაზრის პირველ სართულზე იყიდება პურ-ფუნთუშეულის საცხობი, 45 კვ. მ., თავისი ლიცენზიით, საჭირო დანადგარებით (მათ შორის სპეციალური გაზის ღუმელით). დაგვიკავშირდით ტელეფონზე 93-20-36 ან პეიჯერზე 900(70-60). ფასი შეთანხმებით

ხუთშაბათიდან, მხიარულთათვის!
გაზეთ „ასორტის" დამატება!
ხოხმები
ფასი 20 თეთრი
შეიძინეთ და არ ინანებთ!


---

## „ტოტო-ლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 26 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42"-ს და თანმხლები თამაშის „სუპერ-7"-ის მე-13 ტირაჟის გათამაშება.

„ლოტო 6-42"-ს მოგებახვედრილი რიცხვებია:

**8. 15. 20. 28. 36. 42.**

3 რიცხვი — 1.80 ლარი
4 რიცხვი — 19.60 ლარი
5 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. 516.92 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. „ჯეკ-პოტი" 47 069 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

„სუპერ 7"-ის მომგებიანო ციფრებია **8 1 5 3 9 9 2**

შემდეგი ტირაჟი შედგება 2 აგვისტოს.

**„ჯეკ-პოტი" 47.069 ლარი**

ითამაშეთ ლატარია „ტოტო-ლოტო"!

გისურვებთ წარმატებას!

*საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი*

---


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

**რედაქცია:** ზაზა ალადაშვილი. (კომერციული დირექტორი), გა[illegible] თვალავაძე (პოლიტიკის განყ. რედაქტორი), **კობა კაპანაძე** (სამართლის და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), **ნუგზარ კოზოლაშვილი** (გავრცელების სამსახური), **კორესპონდენტები:** კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია, დათო ავალიანი.

**კორექტორები:** ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია